# საერთო გაზეთი

№45 (503) • 12 დეკემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## ყველა მინუს ერთი, ანუ რას უდრის საქართველო, მინუს ბიძინა ივანიშვილი და პლიუს მაჭუტაძე, ვაშაძე, დავითაია, ქარდავა და სხვები?

საქართველოს მინუს სამების ტაძარი და ბიძინა ივანიშვილის მიერ რესტავრირებული და აღდგენილი უამრავი ეკლესია-მონასტერი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის წყალობით გადარჩენილი თეატრები და მუზეუმები, საქართველოს მინუს მის მიერ აშენებული მუსიკალური ცენტრები, სტადიონები, პარკები, გზები, ხიდები, სკოლები, საავადმყოფოები, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარჩენილი უამრავი სიცოცხლე...

ახლა იმაზე დავფიქრდეთ, ზემოთჩამოთვლილი მინუსების შემდეგ რა რჩება იმ საქართველოსგან, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული საქმეები გამოვაკელით?

## ვითომ, ვითომ...

ქართველი ვარ,
ვითომ — მამულიშვილი,
ვითომ ღვთისნიერი ვარ და...
ვითომ მქვია ღვთისშვილი.

ვითომ საქართველოა და...
ვითომ მქვია ვაჟკაცი,
ვითომ მეციხოვნე ვარ და...
ფარ-ხმალს გააქვს კაშკაში.

დღეს ყველაფერს ვითომ ჰქვია,
სულ-გულს ვღაფავთ ვითომში,
ირგვლივ სისხლი, კრწანისია,
ვითომ ვიბრძვით დიდგორში.

ვითომ ვიღწვით, ვითომ ვიწვით,
სიყვარულის გრიგალში,
ყველაფერი ვითომ, ვითომ,
როგორც ზღაპარ-იგავში.

მინდა მადლში ქათქათებდეს
დედის თეთრი მანდილი,
კაი ყმა და საქართველო
იყოს მართლა ნამდვილი.

ირაკლი ვაშაყმაძე

## რა მიზნით ჩამოვიდნენ საქართველოში უკრაინელი მებრძოლები და ვინ არის ბატალიონ „დონბასის“ ხელმძღვანელი სემიონ სემენჩენკო?

## ქალბატონი სალომე მთელ საქართველოში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ევროპული პოლიტიკა იცის არა წიგნებიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდან

## შენაც, ბრუტუს?



ანუ როგორ გამოჩხრიკა სააკაშვილმა საკუთარი ჯალათი?

## მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, სიმართლის გარდა

**თამარ თორაძე:**
ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი - მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც 23 წლის წინათ ხუთი ძმა და დედ-მამა მომიკლეს



**ვერელი თორაძეების ტრაგედია**

## არ ვიცი, რა შეიძლება ეშველოს ამ ქვეყანას, როცა ერი თვითლიკვიდაციის რეჟიმში ცხოვრობს

# კვირის ამბები

სანამ პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთში ბრალდებებს ცვლიან, „პატრიოტთა ალიანსი“ ვაშაძისთვის მიცემულ ხმებს ითვლის. საგანგებო ბრიფინგზე, **ირმა ინაშვილმა** საქართველოს მთავარ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა დაიწყოს გამოძიება, ენმ-ს მიერ საპრეზიდენტო არჩევნებზე მიღებულ ხმებთან დაკავშირებით.



„ადგილი აქვს პოლტიკუირ აფერისტობას, რადგან შეუძლებელია 780 ათასი ამომრჩეველი გყავდეს და შენს მიერ ორგანიზებულ მიტინგზე მინიმუმ 30 ათასი მხარდამჭერი არ იდგეს“ – დარწმუნებულია ინაშვილი. გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა უდავოდ, არჩეული პრეზიდეტის ინაუგურაციის ადგილის განხილვა გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციამ ხელისუფლებას ინაუგურაციის ადგილად თელავის შერჩევა გაქცევად შეაფასა, თუმცა ვალში არც ხელისუფლების მხარდამჭერები დარჩნენ და ნაციონალურ მოძრაობას 2004 წელს ქუთაისში გამართული ინაუგურაცია გაახსენეს.

პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილისთვის** ინაუგურაციის თელავში ჩატარება სხვა მხრივაც მიუღებელი აღმოჩნდა. მისი თქმით, თელავი სიმბოლურად ქართული მონარქიის, ანუ სახელმწიფოებრიობის დასრულებასთან ასოცირდება და საპრეზიდენტო ეპოქის დასასრულის ასოციაციებს იწვევს. „თუ სიმბოლიკაზე ვსაუბრობთ, მაშინ ეს სიმბოლიკა უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. ეს ქალაქი სიმბოლურად ქართული მონარქიის ანუსახელმწიფოებრიობის დასრულებასთან ასოცირდება. თელავი რა თქმა უნდა, ნამდვილად არის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი და ძალიან მიყვარს, მაგრამ სიმბოლიკა ძირითადად მაინც სევდიანი და ნეგატიური აქვს“ – განაცხადა ხუხაშვილმა.

როგორც ცნობილია, ლეიბორისტული პარტია გაერთიანებული ოპოზიციის ულტიმატუმს შეუერთდა. 5 დეკემბერს „ძალა ერთობაშიას“ წევრები ოპოზიციის სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს შეხვდნენ. პარტიის ოფისში გამართული შეხვედრის შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა საკონსულტაციო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს და ხელისუფლებას 3 მოთხოვნას წაუყენეს:

პირველი – საარჩევნო სისტემის ცვლილება და შემდგომი საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციულიწესით ჩატარება;

მეორე – საარჩევნო ადმინისტრაციის წესის ძირეული ცვლილება და საარჩევნო გარემოს გარდაქმნა;

მესამე: რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება“.

**გიორგი მარგველაშვილის** პრეზიდენტობის ბოლო დღეები არც თუ ისე სასიამოვნო აღმოჩნდა – ნუცუბიძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად პრეზიდენტის სიძე და მასთან ერთად მყოფი ძებნილი პირი დააკავეს. გამოძიება მინდია გოგოჭურს, ცეცხლსასროლი იარაღის ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგო შენახვას და დანაშაულის დაფარვას ედავება.

რამდენიმე დღის წინ გაერთიანებული ოპოზიციის წევრს, პუბლიცისტ **თაკო ჩარკვიანს** სოციალურ ქსელში არც თუ ისე სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყვეს. ფეისბუქის ერთ-ერთმა მომხმარებელმა 2012 წლის ვიდეო



გამოაქვეყნა, სადაც ქალბატონი თაკო სააკაშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებს და ციხეებში პატიმრების გაუპატიურებაზე საუბრობს. სოციალური ქსელის მომხმარებელმა რუსიკო ყიფიანმა კი ჩარკვიანს შემდეგი შინაარსის სტატუსით მიმართა: „ქ-ნო თაკო, ვინაა ბიძინას მონა?

თქვენ ძმას 5 ოპერაცია დაუფინანსა ისრაელში, ძმა გაგიცოცხლა, მამათქვენი იღებდა მისგან 5000-ს, მისი დასაფლავების ხარჯები გაიღო, მიხვედით მამაჩემის ხელფასი დედაჩემს დაუტოვეთო … კიდევ რამდენი არ ვიცით… და ჩვენ ვართ ბიძინას მონები? აბა, დაფიქრდით! (ქმარი კი მილიონერი გყავთ, უხერხული ხომ არაა?)მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას ჩარკვიანი მშიდადშეხვდა და განაცხადა, რომ ყველაფერი კარგად ახსოვს, უსამართლობას ყოველთვის ებრძოდა და მის ოჯახს არავის ვალი არ აქვს. პირიქით, მათთან ვალში სახელმწიფოა, რომელმაც ოჯახის ბიზნესი „შეიტყაპუნა“ (სავარაუდოდ, საუბარია, სააკაშვილის ხელისუფლების დროს წართმეულ ბიზნესზე)

ბოლო დღეებში გაერთიანებული ოპოზიციის ერთიანობას ბზარი შეეპარა. „აღარ ვაპირებ არანაირ აქციაში მონაწილეობას, რომელზეც გრიგოლ ვაშაძეს მიესალმებიან, როგორც საქართველოს პრეზიდენტს“ – ამის შესახებ„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **სალომე სამადაშვილმა** ფეისბუკის პირად გვერდზე განაცხადა. სამადაშვილის განმარტებით, ეს მხოლოდ აზიანებს ოპოზიციის ინტერესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრები თანამებრძოლის პოზიციით არ აღფრთოვანებულან, რადგან იმავე დღეს **ნინო კალანდაძემ** ფეისბუქის პირად გვერდზე შემდეგი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა:

„შეირყა გემი და გამოჩნდნენ პირველი ვირთხებიც? არცთუ პარადოქსალურად სულ ერთი და იგივე ვირთხებია ესენი ოღონდ. ტრადიციულად, ორიგინალურობით არც ახლა გამოირჩევიან”. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვირთხებში ვინ იგულისხმება, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი წევრი თინა ბოკუჩავა პარტიაში განხეთქილებას მთლიანად გამორიცხავს. „არანაირი განხეთქილება, ეს დარჩება ივანიშვილის აუსრულებელ ოცნებად“ – განაცხადა ბოკუჩავამ. „ძირს კინკლაობა! ერთიანობის დროა! ან თქვენ გადაარჩენთ ქვეყანის დემოკრატიის მომავალს, ან ავტოკრატია გადაგვყლაპავს ყველას ერთად და მოგვისპობს ხვალინდელ დღეს“ – ასე გამოეხმაურა ტელეკომპანია “რუსთავი2-ის” გენერალური დირექტორი მომხდარს.

სასოფლო სამეურნეო მიწების უცხოელებზე გაყიდვაზე დაწესებული მორატორიუმის შეჩერებას „ქართულმა მარშმა“ იუსტიციის სახლთან გამართული აქციით უპასუხა.

აქციის ერთ ერთი ორგანიზატორი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** აცხადებს, რომ მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მარში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობიან აჯანყებას მოაწყობს. „ეს იქნება ლეგიტიმურიკონსტიტუციური აქტი“- აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

შეგახსენებთ, რომ უცხოეთის მოქალაქეებზე მიწების გასხვისების მორატორიუმი ძალადაკარგულად გამოცხადდა, თუმცა შეზღუდვები მხოლოდ 16 დეკემბრამდე მოიხსნა, რადგან პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ახალიკონსტიტუცია ამოქმედდება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისების შესახებ შეზღუდვებს კვლავ აწესებს. საპროტესტო აქციის მონაწილეებიცდილობენ არ დაუშვან 16 დეკემბრამდე დარჩენილ დროში მიწების უცხო ქვეყნების მოქალაქეებზედარეგისტრირება.

„ღმერთი არავის გაუწყრესდა ამ 6 დღეში სანამ ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში, 1 სანტიმეტრი ქართული მიწა არ გაიყოდოს დაინაუგურაცია სამოქალაქო



პანაშვიდებში არ გადაიზარდოს … ეგ მიწა ჩვენი ისეა, როგორც თქვენი და ეხლაპოლიტიკოსობანას თამაში არ დაიწყოთ, დილიდან და რამე არ მოხდეს, კარგად გაითვალისწინეთ“ – წერია „ქართული მარშის“ მიმართვაში.

აქციების პარალელურად, ცნობილი ხდება, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა “ქართული მარში” შეიძლება პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს და საპარლამენტო არჩევნებში სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, ბლოკის სახით მიიღოს მონაწილეობა. ამის შესახებ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ განაცხადა.

**ალეკო ელისაშვილი** ახლად დაფუძნებული სამოქალაქო მოძრაობისთვის კეთილსინდისიერ ადამიანებს ეძებს. ელისაშვილი ამბობს, რომ მოძრაობის წევრთა რიგებში მიიღებს ყველა მსურველს, ვინც მხოლოდ ორ კრიტერიუმს დააკმაყოფილებს: პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება.

ბოლო დღეებში მედია აქტიურად განიხილავს მთავრობაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების თემას. ერთ-ერთი ვერსიით, არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, შესაძლოა, თანამდებობები დატოვონ პრემიერ მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ**, თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ** და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **მაია ცქიტიშვილმა**. მამუკა ბახტაძის შემცვლელად შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას მოიაზრებენ. გახარიას ადგილზე შესაძლოა, ალეკო ტაბატაძე ვიხილოთ. მაია ცქიტიშვილს სავარაუდოდ, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ოთარ დანელია შეცვლის. იზორიას შემცვლელად მედიამ უკვე დაასახელა იმერეთის გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე. რამდენი მინისტრი დაკარგავს პოსტს მამუკა ბახტაძის კაბინეტში, სავარაუდოდ, ახალი წლის შემდეგ გახდება ცნობილი.

და ბოლოს, ერთი სასიამოვნო ინფორმაცია, ავსტრიის პრეზიდენტის შვილი საქართველომ იმდენად მოხიბლაა, რომ საცხოვრებლად ჩვენს ქვეყანაში გადმოდის. ავსტრიის მოქმედი პრეზიდენტის ალექსანდრ ვან დერ ბელენის შვილმა **ფლორიან ვან დერ ბელენმა** 2018 წლის მაისში საკუთარი კომპანია დააარსა და ახლა უკვე საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლასაც გეგმავს. „ჩემი ნარატივი საქართველოზე აღვიძებს სიყვარულს ამ ქვეყნის მიმართ პოტენციურ ინვესტორებში და საინვესტიციო შესაძლებლობებს აცნობს მათ. ევროპელებს საქართველო დღემდე ეგზოტიკურ ქვეყანად მიაჩნიათ, თუმცა აქ ჩამოსვლის შემდეგ რწმუნდებიან, რომ ეს ასე არ არის. საქმიან ადამიანებს საქართველოს ლიბერალურ გარემოსა და შესაძლებლობებზე ვუყვები.“ „როდესაც ავსტრიაში დავბრუნდი, ვერც კი ვიძინებდი. რაღაც მოსვენებას არ მაძლევდა. იცით, როგორ ვიყავი?! აი, განსაკუთრებულ ადამიანთან შეხვედრის შემდეგ რომ აცნობიერებ, რომ შეყვარებული ხარ მასზე“ – აცხადებს ერთ-ერთ ინტერნეტ გამოცემასთან ინტერვიუში ფლორიანი.

**ნელი თორდია**



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# ყველა მინუს ერთი, ანუ რას უდრის საქართველო, მინუს ბიძინა ივანიშვილი და პლიუს მაჭუტაძე, ვაშაძე, დავითაია, ქარდავა და სხვები?



**ვახტანგ ხარჩილავა:**

ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ ახალი ლოზუნგი წამოაყენა — ყველა — 1.

— 1-ში, ცხადია, ბიძინა ივანიშვილი იგულისხმება...

ანუ ყველას ეს ერთი ბიძინა ივანიშვილი რომ გამოაკლდეს, გაერთიანებული ოპოზიციის აზრით, ქვეყანაში საყოველთაო ბედნიერების, კეთილდღეობის და აღმშენებლობის ეპოქა დაიწყება.

ეს ერთი, ბიძინა ივანიშვილია, ხელს რომ უშლის და ფეხებში რომ ებლანდება თურმე ამ აღმშენებლებს, თორემ მინუს ივანიშვილი და ყველაფერი უსწრაფესად გაპლიუსდება და ივერიაც გაბრწყინდება.

მოდით, ახლა ისიც ვნახოთ, ვინ არიან ეს გამპლიუსებლები, თავიანთ თავს გერთიანებულ ოპოზიციას ისე ამაყად და ისე თავმოწონებით რომ ეძახიან, თითქოს ნახევარი მსოფლიო ჰქონდეთ შემოერთებული.

ვინ არიან და ნიკანორ მელია, პაატა დავითაია, გრიგოლ ვაშაძე, ზურაბ ხარატიშვილი, გიორგი ვაშაძე, შოთა მალაშხია, ბაჩუკი ქარდავა, აკაკი ასათიანი, შალვა ნათელაშვილი, ნიკა მაჭუტაძე, მამუკა კაციტაძე, შალვა შავგულიძე და კიდევ სხვა ვიღაც-ვიღაცები, რომლებიც თავისუფალი გარემარბების როლში გვევლინებიან, გაერთიანებულ ოპოზიციაში ხან შეირბენენ, ხან გამოირბენენ და თვითონაც ხეირიანად რომ არ იციან, სინამდვილეში სად არიან.

აი, ესენი აპირებენ ქვეყნის აშენებას, ოღონდ ერთი პირობით — მინუს ბიძინა ივანიშვილი!

რამდენი ხანია, სულ ამათი სახელები მესმის, მაგრამ ლაყბობის გარდა ამათი აშენებული ჯერ არავის არაფერი უნახავს და ახლა რა აღმშენებლობითი ნიჭი და ტალანტი დაეფერთხათ თავზე?

უმეტესობა მათგანი ჩამოყალიბებული პოლიტიკური წურბელა და პარაზიტია, რომელთა „მოღვაწეობა“ წურბელობის და პარაზიტობის იქით არ წასულა.

●

ყველა — 1, ეს იდიოტური ფორმულა, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ადრეც ხშირად გაჟღერებულა და ზიანის გარდა სიკეთე არასოდეს მოუტანია ქვეყნისთვის, იმ სუბიექტების ბაგეთაგან, რომლებიც ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას წარმოადგენენ, იმდენად სასაცილოდ და კომიკურად ჟღერს, არ შეიძლება სერიოზული ადამიანი არ დააფიქროს: აი, ესენი, ეს ოდიოზური ფიგურები, 20 და 30 კი არა, თუნდაც 2000 და 3000, ერთად რომ გააერთიანო, თუნდაც გადაადნო და ერთ ზოდად ჩამოასხა, ბიძინა ივანიშვილს, მის მიერ გაკეთებულ საქმეებს გადასწონიან?

ყველა — 1 რომ დაუჩემებიათ ამ პოლიტიკურ არამზადებს და პარაზიტებს, აბა, წარმოვიდგინოთ, როგორი და რანაირი იქნება საქართველო, მინუს ყველა ის საქმე, რაც ბიძინა ივანიშვილს გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის?

**საქართველოს მინუს სამების ტაძარი და ბიძინა ივანიშვილის მიერ რესტავრირებული და აღდგენილი უამრავი ეკლესია-მონასტერი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის წყალობით გადარჩენილი თეატრები და მუზეუმები, საქართველოს მინუს მის მიერ აშენებული მუსიკალური ცენტრები, სტადიონები, პარკები, გზები, ხიდები, სკოლები, საავადმყოფოები, სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობები, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ რესტავრირებული უნივერსიტეტის I კორპუსი და ოპერის თეატრი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარჩენილი უამრავი სიცოცხლე, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის პენსიით თუ სტიპენდიით შიმშილით სიკვდილისგან დახსნილი უამრავი ადამიანი, საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული და აწყობილი უამრავი სახელმწიფო სტრუქტურა, საქართველოს მინუს ჯერ შევარდნაძის და მერე სააკაშვილის მიერ თავიანთ აქტივში ჩათვლილი და მისაკუთრებული, მაგრამ სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილის მიერ უხმაუროდ და ინკოგნიტოდ დაფინანსებული ასევე უამრავი სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, იდეა, მიმართულება.**

**დაბოლოს, საქართველოს მინუს 2012 წლის შემოდგომაზე „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმზე გამარჯვება, რომლის მიღწევა ბიძინა ივანიშვილის თავგანწირვის და თავდადების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.**

**ახლა იმაზე დავფიქრდეთ, ზემოთჩამოთვლილი მინუსების შემდეგ რა რჩება იმ საქართველოსგან, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული საქმეები გამოვაკელით?**

იმდენად მძიმე, უბადრუკ და ულიმღამო სურათს ვიღებთ, რომ ამის წარმოდგენაც კი არ მინდა...

საქართველოს მინუს ბიძინა ივანიშვილი და პლიუს პოლიტიკური მუქთახორები – ამ არითმეტიკით აპირებთ თქვენ ქვეყნის აშენებას, თქვე მართლაც უნიჭო აფერისტებო და ფარისევლებო?

„საერთო გაზეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ ბიძინა ივანიშვილს დედის

**ციცინო დვალი-ივანიშვილის**

გარდაცვალების გამო.



# რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში უკრაინელი მებრძოლების შვიდკაციანი ჯგუფი და ვინ არის ბატალიონ „დონბასის“ ხელმძღვანელი სემიონ სემენჩენკო?

„ქართველმა სამართალდამცავებმა უკრაინიდან ჩამოსული მებრძოლების შვიდკაციანი ჯგუფი კი დააკავა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სხვა ჯგუფებიც იქნებიან შემოსული, რომელთა სტუმრობის სავარაუდო მიზანიც საქართველოში ე.წ. მაიდნის მოწყობაა“, აცხადებს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.

მედიასაშუალებებით არაერთხელ ითქვა, რომ ბოლო „მაიდნის“ დროს, კიევში, შენობების სახურავებზე განლაგებული სნაიპერები ესროდნენ მომიტინგეებსა და სპეცრაზმ „ბერკუტის“ წევრებს. მოგვიანებით ქართველი სნაიპერების ინტერვიუებიც ვიხილეთ ტელევიზიით, რომლებიც ადასტურებდნენ სისხლიან ანგარიშსწორებაში მონაწილეობას და ამ ყველაფერში სააკაშვილის ჩართულობას. ახლა ეტყობა „ვალს“ უბრუნებენ სააკაშვილს მისი უკრაინელი მხარდამჭერები და საქართველოში გადმოსხეს „დესანტი“. მე არ ვიცი ვინმეს თუ სჯერა, რომ უკრაინელი მებრძოლები საქართველოს ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად და ახლობლების მოსანახულებლად ჩამოვიდნენ, როგორც თავად აცხადებენ. ისინი თურმე არც აპირებდნენ 2 დეკემბრის ნაცმოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციაზე მისვლას. მე გამოძიების დასრულებამდე ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ დაკავებულებს მართლაც ჰქონდათ იარაღი და საბრძოლო მასალა, მაგრამ კრიტიკას ვერ უძლებს მავანთა სიტყვები, სტუმრები“ თვითფრინავით ჩამოვიდნენ საქართველოში, კონტროლი გაიარეს და იარაღს როგორ შემოიტანდნენო. რად უნდოდა შემოტანა, როცა რაიმე ასე ვთქვათ, ოპერაციის ჩასატარებლად მიდიან, მათ ყოველთვის ადგილზე ხვდება იარაღიც და საბრძოლო მასალაც. ბინაც წინასწარაა მათთვის გამზადებული და ხშირ შემთხვევაში იარაღიც იქ ხვდებათ. თუ მართლაც სასტუმროს ნომრებში აღმოაჩინა პოლიციამ იარაღი, მე სასტუმროების მეპატრონეების მიკვირს, როგორ ვერ შენიშნეს იარაღი და საბრძოლო მასალა რომ შეჰქონდათ.

თავად რადას დეპუტატი სემიონ სემენჩენკოც გარკვეულ ეჭვებს ბადებს. მის პერსონასთან დაკავშირებით, არცთუ საზარბიელო ინფორმაცია დევს ინტერნეტსივრცეში. სემენჩენკო სინამდვილეში კონსტანტინე იგორის ძე გრიშინია, ეროვნებით რუსი, რომელიც სევასტოპოლში დაიბადა და გაიზრდა. მან რამდენიმე წლის წინ შეიცვალა გვარ-სახელი. მამამისი სამხედრო ოფიცერი იყო, მხარი დაუჭირა ყირიმის რუსეთთან მიერთებას და ოჯახთან ერთად სევასტოპოლში დარჩა საცხოვრებლად. სემენჩენკოს ჩაოყალიბებულია ბატალიონი „დონბასი“, რომელიც უკრაინელების ნაწილისთვისაც მიუღებელია, უკრაინის ხელისუფლებაც უარყოფითადაა მათ მიმართ განწყობილი, ამას არც მალავს და „დონბასის“ მებრძოლებს მარადიორებად იხსენიებს“.

ხსენებული ჯგუფის საქართველოში ჩამოსვლა-დაკავებას ფართო გამოხმაურება მოყვა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ინტერნეტსივრცეში ვრცელდება ერთ-ერთი არაქართველი ბლოგერის ინფორმაციას, რომ პოლონეთში არსებულ „ევროპული უსაფრთხოების აკადემიას“, რომელიც სპეცრაზმელებსა და სამხედრო პირებს ამზადებს, მიმდინარე წლის 1 ნოემბერს პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი სტუმრობდა. ამ ცნობილ ბაზაზე, რომლის მომსახურებითაც ბევრი სარგებლობს, იმ დროს უკვე იმყოფებოდნენ სემიონ სემენჩენკო და მასთან დაახლოებული ათეულობით (სავარაუდოდ 40) სამხედრო პირი. რატომ არ ინტერესდება უკრაინის ხელისუფლება, რა მიზნით ვარჯიშობდა ეს ხალხი იქო. სააკაშვილსა და სემენჩენკოს შორის, რომელიც ექს-პრეზიდენტის დიდი ხნის მეგობრად და მოკავშირედ ითვლება, მოლაპარაკება შედგა, სააკაშვილმა მეგობარს სთხოვა, ნოემბრის ბოლოს რამდენიმე ჯგუფი ჩაეყვანა საქართველოშიო. დაჯგუფების გაგზავნის მიზეზად ვიპ-პერსონების და უძრავი ობიექტების დაცვა დასახელებულა. საინტერესოა, რა ობიექტები უნდა დაეცვა ამ ხალხს. ბატონი სემენჩენკო 29 ნოემბრიდან უკვე საქართველოში იყო, რამდენიმე დაჯგუფება კი 30 ნოემბერს გაგზავნეს, თუმცა ყველა ვერ შევიდა, ზოგიერთი საზღვრიდანვე უკან გააბრუნეს, დანარჩენებმა მაინც მოახერხეს საზღვრის გადალახვაო. ხსენებული ბლოგერის ინფორმაციით, 2 დეკემბერს უკრაინის საელჩოს საქართველოში ვინმე ევგენი შევჩენკო დაუკავშირდა, რომელმაც თავი სემენჩენკოს დამხმარედ და უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების აგენტად წარადგინა და ამცნო, რომ უკრაინის რამდენიმე მოქალაქე დაიკარგა და დახმარება ითხოვა. ელჩი სემენჩენკოს დაკავშირებია, ამ უკანასკნელს საქართველოში ყოფნა და ამ ადამიანების გაუჩინარება დაუდასტურებია. ამის შემდეგ ატყდა ხმაური მედიასა და სოციალურ ქსელებშიო. მართალია, ზემოხსენებული ბლოგერი არ ახსენებს, მაგრამ გაირკვა, რომ ბატონმა შევჩენკომ 2017 წელს კერძო საწარმო „დონბას ბატალიონ კორპი“ დაარეგისტრირა, სავარაუდოდ ეს იმ კერძო სამხედრო დაჯგუფების („დონბასი“) „გადასაფარად“ გაკეთდა, რომელიც უკრაინაში აკრძალულიაო. სწორედ ამ დაჯგუფების წევრები ყოფილან ის შვიდი პირი, რომლებიც ჩვენმა სამართალდამცავებმა დააკავეს.

პრეზიდენტ პოროშენკოს მრჩეველი ბირიუკოვი ადასტურებს, რომ დაკავებულებს შორის სემენჩენკოც იყო. სხვა და სხვა წყაროები მყავს, ისინი ადასტურებენ, რომ სემენჩენკო თბილისშია, ის იქ ოფიციალური დოკუმენტებით, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლის სტატუსით იმყოფებოდა, დიპლომატიურ სკანდალში გაგვხვია, საკუთარი ხალხი გაწირა და გაიქცაო. ბირიუკოვი და უკრაინის სოციალური პარტიის ლიდერი ილია კივა ფეისბუქშიც წერენ, რომ ლვოვის პარტია „სამოპომოშჩი“ სემენჩენკოს (ბატალიონ „დონბასის“ ექსმეთაური) ხელმძღვანელობით, არის უკრაინაში ქართული დიპლომატიური სკანდალის „შემოქმედი“.

ბირიუკოვისა და კივას პოზიციას არაოფიციალური წრეებიც ეთანხმებიან, არეულობის მონაწილეები, რომლებსაც სათავეში სემენჩენკო უდგას, სავსებით შესაძლებელია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში დაადანაშაულონ, არ არის გამორიცხული ეს ბრალდება უკრაინასაც წარედგინოს, როგორც სახელმწიფოს.

სემენჩენკო-გრიშინმა რადიო „თავისუფლებას“ ფრიად „გულისამაჩუყებელი“ ინტერვიუ მისცა, მან რა თქმა უნდა გამორიცხა დაკავებული უკრაინელი და ქართველი მებრძოლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან კავშირი და „დაგვმოძღვრა“, მინდა ქართველები დაფიქრდნენ, თქვენ შესანიშნავი მეომრები ხართ, როგორ შეიძლება ვიღაცამ ხუთი კაცით და ჟანგიანი პისტოლეტით, რომელიც შეუგდეს, როგორც ჩანს, საქართველოს შსს-ს მეტი რესურსი არ ჰქონდა, გააკეთო რაღაც რევოლუცია რამდენიმე მილიონიან ქვეყანაში.

თადარიგის მაიორი სემენჩენკო და სააკაშვილი წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს, თუნდაც იმიტომ, რომ სემიონიც მიშასავით ყველაფრის „სპეციალისტია“. ბატალიონ „დონბასის“ შტაბის ყოფილმა უფროსმა ერიომინმა ეს ჩვენი მაიორი 2014 წლის სექტემბერში, არაპროფესიონალიზმსა და გადაჭარბებულ პოპულიზმში დაადანაშაულა, ბატალიონი მისთვის კომერციული პროექტია, ფეისბუქზე წერა კი ეხერხება, მაგრამ მისი „მხედრობისა“ რა მოგახსენოთ, კრიტიკულ მომენტებში, უბრალოდ უჩინარდება. ბატალიონის გასაპიარებლად ის ხშირად იწვევდა ჟურნალისტებს და ფოტოსესიებს აწყობდა, თავადვე ამბობდა, ვიცი, რომ ტელევიზიას არაფრისგან შეუძლია ფიგურა შექმნასო. ბატალიონ „დნეპრის“ ასეულის უფროსმა შილოვმა („დონბასის“ ყოფილი მებრძოლი) სემენჩენკო ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტთან მიღებულ დანაკარგებში დაადანაშაულა, ისეთი სამოძრაო მარშრუტი შეადგინა, რომ უიარაღო ხალხს „ხორცსაკეპში“ უკრა თავი, თვითონ კი უკანა ხაზზე ფეისბუქს იყო მიმჯდარი. ამის შემდეგ „დონბასიდან“ ბევრი მებრძოლი გადავიდა სხვა სამხედრო დანაყოფებშიო.

სემიონ იგორის ძე სემენჩენკოს (წარსულში კონსტანტინე იგორის ძე გრიშინი) პერსონის უკეთ გასაცნობად, შემოგთავაზებთ მის მოკლე ბიოგრაფიას. იგი უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი (2014 წლის 27 ნოემბრიდან), ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის ეროვნული გვარდიის თადარიგის მაიორი გახლავთ, უკრაინის საზოგადო, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. სემენჩენკო-გრიშინი მას შემდეგაა ცნობილი პიროვნება და პოლიტიკური წონის მქონე, რაც მოხალისეთა ბატალიონ „დონბასის“ მეთაური და რადას დეპუტატი გახდა პარტია „სამოპომოშჩიდან“. იგი კომპანია „ახალი თანამგზავრული ტელევიზიის“ მფლობელიც გახლავთ. სემენჩენკოს ყოფილ თანამებრძოლებს ტყუილად არ შეპარვიათ ეჭვი, არ არის ეს კაცი სამხედროო, სევასტოპოლის ნახიმოვის სახელობის „შავი ზღვის სამხედრო სასწავლებელში“ კი მოეწყო, მაგრამ როცა მიხვდა ფლოტში ვერ „გაქაჩავდა“, სამოქალაქო სექტორში გადაბარგება გადაწყვიტა და სევასტოპოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში საფინანსო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. 1998–








2004 წლებში საჯარო სამსახურში საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა, პარალელურად საზოგადოებრივ „მოღვაწეობასაც“ ეწეოდა, გაზეთ „სევასტოპოლის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი ყოფილა. ასე რომ, მას ჟურნალისტური გამოცდილებაც აქვს, ალბათ ამიტომაც ჩაერთო ბაჩუკი ქარდავას კუთვნილი საინფორმაციო სააგენტოს „ეგიდით“, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში დამკვირვებლად. სემენჩენკოს 2014 წლის შემოდგომაზე გაზეთმა „მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ „გაუბაზრა“, 2006–2008 წლებში „ვგიკში“ სწავლობდა დრამატურგიასა და ტელევიზიის რეჟისურას, მაგრამ სადიპლომო ნამუშევარი ვერ შეასრულა და დიპლომი ვერ მიიღოო.

ბატალიონი „დონბასი“ სემენჩენკოს 2014 წლის აპრილში ჩამოუყალიბებია და უკრაინის თავდაცვის სამინისტროსგან უმოკლეს დროში „მუშაობისთვის“ აუცილებელი ნებართვაც მიუღია. იგი ცოტა მოგვიანებით კიევში ჩავიდა მოთხოვნით, შეეწყვიტათ შერიგების მცდელობა და საომარი მდგომარეობა შემოეღოთ. ამ მოთხოვნით მიტინგი ჩაატარა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და „მაიდნის“ სცენაზეც გამოვიდა სიტყვით. უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაქოვმა 20014 წლის აგვისტოში ფეისბუქით გაავრცელა ინფორმაცია, რომ სემენჩენკო ილოვაისკისთვის ბრძოლაში თეძოსა და ზურგის არეში დაიჭრა და წარმატებული ოპერაცია ჩაუტარდა. პრემიერმა არსენ იაცენიუკმა და შს მინისტრმა ავაქოვმა სემენჩენკო ბოგდან ხმელნიცკის მესამე ხარისხის საბრძოლო ორდენით დააჯილდოვეს. შემდეგ რადას არჩევნებზე იყარა კენჭი და დეპუტატიც გახდა. ტელევიზიით კი უთქვამს პოდპოლკოვნიკის წოდება მომანიჭესო, თუმცა ამომრჩევლისადმი ფეისბუქმიმართვაში წერდა, რომ სახალხო გვარდიის თადარიგის მაიორი და ბატალიონ „დონბასის“ სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურია. სემენჩენკო მისივე თქმით, 2000-იან წლებში დონეცკში გადავიდა საცხოვრებლად (მისი მეუღლე დონეცკელია, შვილებიც იქ დაიბადნენ), უსაფრთხოების სისტემებით იყო დაკავებული, მისი კომპანია ამონტაჟებდა თანამგზავრულ ტელევიზიისთვის საჭირო აპარატურას და მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო, თუმცა 2014 წლის გაზაფხულზე, იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად კიევში გადასულიყო.

რუსული ტელეკომპანია „დოჟდის“ ინფორმაციით, სემენჩენკო და მისი მეუღლე ნატალია მოსკოვეცი ფლობენ კომპანია „საოლქო კურიერულ სამსახურს“, რომელიც ბრენდ „ახალი თანამგზავრული ტელევიზიის“ შემადგენლობაშია. კომპანიის წლიური ბრუნვა მილიონნახევარი დოლარია, ხოლო წყვილის თვიური შემოსავალი მილიონი გრივნა.

და ბოლოს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინიდან სამარცხვინოდ განდევნილი მიხეილ სააკაშვილი, ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხზე გადაცემას წაიყვანს. „გონივრული“ ეჭვი მიჩნდება, რომ დიდი ალბათობით, ეს ტელევიზია მიხეილის მეგობარ-მოკავშირე სემიონ სემენჩენკოს ეკუთვნის.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ნაციონალებო, სწორედ ეს ახალგაზრდები ჩაგრეცხავენ თქვენ პოლიტიკურ კანალიზაციაში, თქვე მართლა ვირთხებო!



**გიორგი არველაძე:**

**„საქართველოს ახალგაზრდობავ და სტუდენტობავ, თქვენ ხართ ზარმაცი, უთავმოყვარეო და უტვინო ჯოგი. უპასუხისმგებლო ნახირი, ფასეულობებისა და ინტელექტის გარეშე. სამარცხვინონი. ქაქში ცხოვრებას იმსახურებთ და ზუსტად ეს გელით“.**

**გიორგი ინასარიძე, ოთარ გველუკაშვილი, ანტონ უგულავა, დიკო ბარქაია, ზაზა ფანცქველაძე, ევგენი აფრასიძე, ომეხ აფრასიძე, ხვიჩა კვირიკაშვილი, ალექსანდრე გომაშვილი, ბუთა რობაქიძე, მურთაზ ქარდავა, თემურ ხუფენია, სულხან ლომიძე, ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა, თემურ ცეკვავა, თამაზ კურკუმული, ალექსანდრე თაბაგარი, ხვიჩა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი, გიორგი მანჯავიძე, ლევან გულუა, რევაზ სარჯველაძე, მურმან გორგაძე, რომან სურმანიძე, მარად ართმელაძე, ვლადიმერ ხოშტარია, აკაკი კორკოტაშვილი, ავთო გუმაშვილი, ვახო გუმაშვილი, ვახტანგ მარგოშვილი, რევაზ ცალანი, სანდრო გირგვლიანი, გია თელია, ჯემალ ჩაფიძე, ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია, ვალერი ბენდელიანი, ზურაბ ვაზაგაშვილი, ალექსანდრე ხუბულოვი, მიხეილ ბერძენიშვილი, გელა ცინდელიანი, ხვიჩა კოკაია, ვალერი ფხალაძე, მიხეილ კარაკოსიანი, გიგა ჩარბაძე, ალექსანდრე ხოსიტაშვილი, ოლეგ მესიძე, ჯუმბერ ნაგერვაძე, თენგიზ გოგია, როლანდ მახარაძე, გიორგი გამცემლიძე, როინ შავაძე, პაატა ქარდავა, დავით ცინდელიანი, ნატა ჯიჭონაია, ალექსანდრე კვეზერელი, ზურაბ მანთაძე, გია კრიალაშვილი, ჯიმი მეგრელიძე, მამუკა ჩარჩხალია, ვარლამ ნემსიწვერიძე.**

ეს არის „ნაცმოძრაობის“ ჯალათების მიერ მოკლული ახალგაზრდების არასრული სია. მათი უმრავლესობა წამებით არის მოკლული, ზოგი ციხეში, ზოგი ციხის გარეთ, ზოგი უგზოუკვლოდ გაუჩინარებული. ერთ-ერთი მათგანს 30 წლის დავით ცინდელიანს თურმე ყელზე თოკით ქვა მოაბეს და ცოცხლად ზღვაში გადააგდეს. დღეს ყველამ იცის, რა უყვეს 16–18 წლის აჭარელ ახალგაზრდებს ე.წ. „ნავთლუღის სპეცოპერაციისას“.

„ნაცმოძრაობის“ მმართველობისას ახალგაზრდების არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მენტალური გადაგვარებაც მიზანმიმართულად ხორციელდებოდა.

თავიანთ თავს პოლიტიკურ პარტიას რომ ეძახიან, იმ უსაზიზღრესი საქმეების ჩამდენი ჯგუფის ერთ-ერთმა ლიდერმა, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დროს ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ, ამჯერად ფიზიკურ შეურაცხყოფაზე ხელი რომ ვეღარ მიუწვდება, ქართველ გოგო-ბიჭებს ფეისბუკში ასეთი სტატუსი მიუძღვნა:

„საქართველოს ახალგაზრდობავ და სტუდენტობავ, თქვენ ხართ ზარმაცი, უთავმოყვარეო და უტვინო ჯოგი. უპასუხისმგებლო ნახირი, ფასეულობებისა და ინტელექტის გარეშე. სამარცხვინონი.

ქაქში ცხოვრებას იმსახურებთ და ზუსტად ეს გელით“.





Mzia Saganelidze (RFE/RL)

მეგობრებო, ეს ის კაცია, ვინაც დაგეგმა და დადგა ე.წ. „მოდელირებული ქრონიკა“, ვითომდა ახალი ომით ხელახლა დაზაფრა მათი სასტიკი რეჟიმისგან ისედაც დაზაფრული და განადგურებული ქართველი ხალხი. ეს ის კაცია, ვისაც სულ ცალ ფეხზე ეკიდა ყოველთვის მოსახლეობა, მისი პრობლემები და გასაჭირი და თავისი დისკოს მოცეკვავე უკრაინელი ცოლის კაბის კალთას იყო მიშტერებული.

ახლა ხომ კარგად ხედავთ ყველა, როგორ ეზიზღებოდათ და ეზიზღებათ ნაციონალებს, საქართველოს მტრების ერთგულ ლეკვებს, არა მხოლოდ საქართველოს წარსული, არამედ მისი მომავალიც. როგორი გაბოროტებული უნდა იყო ადამიანი, მომავალ თაობაზე, ახალგაზრდობაზე ასეთი წარმოდგენა გქონდეს და ასე გულღვარძლიანად „შეამკო“, როგორც ეს „ნაცმოძრაობის“ ჭირიანმა „ასკოლკამ“ გიორგი არველაძემ გააკეთა. ასე რამ დაბოღმა ეს საცოდავები, რომ ახალგაზრდებსაც ვერ იტანენ, საკუთარ მომავალს უთავმოყვარეოებსა და უტვინოებს ეძახიან. ბოღმისგან და ბოროტებისგან გამომეტყველებაც რომ დაუმახინჯდათ, ხომ ყველა ვხედავთ?

ნაციონალებო, სწორედ ესენი მოგიღებენ ბოლოს თქვენ, ახალგაზრდები ჩაგრეცხავენ თქვენ, პოლიტიკურ კანალიზაციაში, თქვე მართლა ვირთხებო!

თუ ჩვენ, უფროსმა თაობამ, ეს ვერ მოვახერხეთ, ახალგაზრდები მოგიღებენ ბოლოს ისე, რომ პოლიტიკური მოუსავლეთიდან ვეღარასდროს ვეღარ ამოყვინთავთ, მაინც მანდ იყო თქვენი ადგილი, ქართველების სისხლში ხელგასვრილო ჯალათებო!

ახლა დაეჭედა თქვენს კუბოებს ბოლო ლურსმანი. ვერც კი ხვდებით, ალბათ, რომ ყველაზე საბედისწერო შეცდომა ახლა დაუშვით, ჩვენს ღირსეულ ახალგაზრდებს რომ კიდევ ერთხელ შეაფურთხეთ.

ფურთხის ღირსებიც არა ხართ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „რევოლუციონერ“ ბოზთა ბუნაგი

**ილია ჭავჭავაძე მოკალით – საქართველოს გული დაუსერეთ! ზვიად გამსახურდია მოკალით – საქართველოს დასერილ გულზე მარილი დააყარეთ! ბადრი პატარკაციშვილი მოკალით – საქართველოს დასერილ და მარილდაყრილ გულზე წიხლი დააჭირეთ!**

**ახლა ვინ ამოიღეთ მიზანში, ბოზნო, თახსირნო, მკვლელნო, წუმპენო, წუმწუმნო, ძონძნო, ტალახნო, რისთვის იკრიბებით „ლეიბორისტების“ ბუნაგში, როდისთვის გეგმავთ ხელისუფლების დამხობას და ქვეყნის კიდევ ერთხელ გაპარტახებას?!**

წინა კვირაში, ერთ-ერთ დღეს დიდი სტუმრიანობა იყო „ლეიბორისტების“ ოფისში. რევოლუციის მოსაწყობად გამოიძახეს და სიმაღლის მიხედვით გამოცხადდნენ:

1. **აკაკი ასათიანი** – ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, რომელსაც კრიტიკულ მომენტში გული ასტკივდა და საქართველოს რომელიღაც კურორტზე წამოკოტრიალდა. ეს იყო მაშინ, როცა თბილისში კანონიერ ხელისუფლებას უტევდნენ და ზვიად გამსახურდია ავტომატების კაკანით „აცილებდნენ“. კაკო ყოველთვის არის იქ, სადაც ფულია და ვალებს ისტუმრებენ. როგორც ჩანს, სწორ მისამართზე მოხვდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ის ირ-





მა ინაშვილმა ამოიყვანა ნაფტალინიდან, გარეცხა, დაუბლოკდა და დღემდე ბიუჯეტიდან ყოველწლიურად იღებს 100 ათას ლარს. მართალია, პარლამენტში ვერ მოხვდა, მაგრამ „პატრიოტთა ალიანსის“ წყალობით კვალიფიკაცია მიიღო და როგორც უკვე გითხარით, ფინანსდება ბიუჯეტიდან. კაკოს მთელი ცხოვრება ვალები აქვს და მა რა ვქნათ, აღარ დავუფაროთ? კი, უნდა დავუფაროთ და ამიტომაც არის საჭირო, თვითონაც გაანძრიოს ტვინი, 2020-ში ისეთ ვინმეს უნდა შეეკრას, ვისი წყალობითაც ისევ დაფინანსდება. არ აქვს მნიშვნელობა, მიშა იქნება, გრიშა, თუ გარგანტუა და პანტაგრუელი! მართალია, კაკო ასათიანს 1991 წლის გადატრიალებისას გული ასტკივდა, მაგრამ მაინც გადარიალებულად ითვლება და როცა გადატრიალებული გადამტრიალებლებთან მიდის, ეს დიდი უზნეობაა... ფული ოხერია, მაგრამ მაინც უზნეობაა-მეთქი!

2. **გოჩა ჯოჯუა** – პოლიტიკური საქმოსანი. არსად არ ფიგურირებს და ამ დროს ყველგანაა. ერთი პერიოდი „პატრიოტთა ალიანსს“ უვლიდა გარშემო, მერე ნინო ბურჯანაძეს სასამართლოში უჩივლა და პარტია წაართვა თავის დაფინანსებიან-კვალიფიციურობიანად. მართალია, არც ჯოჯუა გახლავთ პარლამენტში, მაგრამ ბიუჯეტიდან ფინანსდება წელიწადში 300 ათასი ლარით. ესეც დილემის წინაშე დგას, 2020 წლის შემდეგაც ხომ სჭირდება მაყუთი? ამიტომ მივიდა იქ, სადაც გეგმავენ რევოლუციას და კაი მოგებას! ეს ტიპი ერთხელ კი გაიგდო კაკო ბობოხიძემ წიხლქვეშ და ათრია ტყლაპოში, მაგრამ ეს მაინც იმავე ტყლაპოში მიცუცქდა, იქ ფული ეგულება და იმიტომ. ფული ოხერია, მაგრამ როცა ერთხელ ტყლაპოში ნათრევი მთრეველთან მიდის, ეს დიდი უზნეობაა!

3. **ნიკა მაჭუტაძე** – ამომავალი ვარსკვლავი ქართულ პოლიტიკაში. სანამ მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე არ დამარცხდა წინა საპარლამენტო არჩევნებში და არ აიკრა გუდა-ნაბადი რუსეთისკენ, მანამდე მაჭუტაძის არსებობის შესახებ მხოლოდ შინაურებმა თუ იცოდნენ. გამოიყვანა, შემოგვტენა ბანმა და მას შემდეგ აღარ გაჩერებულა – ბოდავს და



ბოდავს. ესეც ფინანსდება ბიუჯეტიდან წელიწადში 300 ათასი ლარით, რადგან ბურჭულაძის პარტიამ („სახელმწიფო ხალხისთვის“) საპარლამენტო არჩევნებში გადალახა 3-პროცენტიანი ბარიერი. ოდა, ამასაც უნდა კიდევ მაყუთი, არ ვიცი, ბანი რამდენს უგდებს, მაგრამ თადარიგი მაინც ხომ უნდა დაიჭიროს? თანაც დიდი პრეტენზიები აქვს, სულ მცირე, დეპუტატობას უნდა გამოჰკრას ხელი „ნაციონალების“ წყალობით. თუ რევოლუციაც მოახდინა, ეჭვი არ შეგეპაროთ, ჩეგევარა არიფი იქნება ამასთან შედარები თ. მაჭუტაძე რომ რევოლუციას მოგიწყობს და პარლამენტში გამოგეჯგიმება, კი უნდა მოიკლა თავი ჟანგიანი პისტოლეტით!

4. **ლევან თარხნიშვილი** – უამრავ თანამდებობაზე გადამხტარი. 2012-ში, როცა „ნაცმოძრაობა“ ყინულზე წაქცეული სახედრივით მოსრიალდა, ეს ჯეელი გახლდათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ანუ მიხოს „გამპრავებელი“. რაც ამან (სართვლოდ გამზადებულ გოდორს რომ მიუგავს თავი) არჩევნები აყალბა 2008 წლიდან მოყოლებული, ხათუნა



გოგორიშვილსაც კი შეშურდებოდა. საერთოდ, ამ ცხოვრებას ახასიათებს ასეთი რამ – თუ დამნაშავეს არ დასჯი, ის ცოტა ხანს გაიყურსება, მომენტს დაელოდება, ცოტა მოიკეთებს, ცოტა მოძლიერდება და იქით მოინდომებს შენს დასჯას. პატიება გამორიცხულია და სწორედ ეს გახლავთ „ქართული ოცნების“ უდიდესი შეცდომა. აი, დადგა დრო, შეიკრიბნენ დამნაშავეები, მართლა კრიმინალები ბუნაგში და გამოგვიცხადეს, რომ თურმე დამნაშავეებმა და კრიმინალებმა მისცეს ხმა სალომე ზურაბიშვილს. ახალ კამპანიას იწყებენ კრიმინალები... არა, კამპანია ძველია, მაგრამ თემაა ახალი, აქეთ გაბრალებენ, შენ კრიმინალებმა აგირჩიესო!

5. **ბაჩუკი ქარდავა** და **პაატა დავითაია** – უკაცრავად და... ესენი ტყუპები მგონია. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ორივეს თავი სართიჭალაში გასაყიდად გამოტანილ კვახს მიუგავს და მეორეც – ორივე აფერისტია, ორივეზე სასაცილო რაღაცებს ყვებიან, ერთს რუსეთში დაუტრიალებია დიდი ამბები, მეორეს – აქ, საკუთარ მამულში. ისე, ყველაზე მაზალო მაინც ის იყო, დავითაია



რომ დანიშნეს 2008 წლის ომის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ, რომ გამოიძია, ოფიციალურად ომის დაწყებაში რუსები დაადანაშაულა და შინაურულად კიდევ ომის დაწყებას სააკაშვილს აბრალებდა. ერთხელაც მაგარი „ჩეპე“ მოუვიდა, აქუს კანტორის წარმომადგენლებს ინტერვიუს აძლევდა, ოფიციალურად იქაქანა და გამორთული კამერის მიღმა სულ საწინააღმდეგო ილაპარაკა, თურმე კამერა ჩართული ყოფილა. მაშინ აქუმ არ დაინდო, ესეც გაუშვა ეთერში. გეუბნებით, ამ „ჩვენ თითონა“ პარტიების ე.წ. ლიდერები, მარტო თვითონ რომ არიან დარჩენილები, უნიკალური აფერისტები არიან!

6. რევოლუციურ ბუნაგში ასევე გამოჩნდა **გიორგი ახვლედიანი**, ნინო ბურჯანაძის მარჯვენა თითი, რომელიც ცოტა უფრო ჭკვიანი მეგონა. თავად ბურჯანაძე თავს იკავებს, ვირეშმაკობანას თამაშობს, ჯერ პირდაპირ ვერ რისკავს მიხო სააკაშვილის „გაპრავებას“ და ამიტომაც აგზავნის ახვლედიანს. თუმცა ქალბატონ ნინოს გვერდითაა დიდი გუბაზი, სანიკიძე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის შეურაცხყოფაზე და მიხო სააკაშვილის „გაპრავებაზეა“ გადასული. ამ შემთხვევაში ზედმეტ რისკებზე წასვლა აღარ არის საჭირო. ადრეც დავწერე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მითხრა, ეგ ქალი სააკაშვილთან არის გარიგებული, სახტად დავრჩი, არ დავიჯერე და თვითონ მაგ ქალმაც ატეხა ერთი ამბავი. აჰა, გავიდა





6 წელიწადი და ახლა ვხედავთ, ვინ ვისთან არის შეკრულ-გარიგებული!

●

რაღა ბევრი გავაგრძელო? როდესაც რევოლუციური ბუნაგი გაიხსნა და ნაფტალინიდან ამოქექილები იქ ჩავიდნენ, ძალიანაც არ გამკვირვებია, 30 წელიწადია ამათ ვუყურებ და ვეღარაფერს გამომაპარებენ... აი, უბრალოდ ერთი რამე მიკვირს – რატომ უნდა მიხვიდე, შენ, ზვიად გამსახურდიას შვილი იქ, სადაც ფაქტობრივად იგეგმება სახელმწიფო გადატრიალება? არა, ამათ გადატრიალებულს დააფსას დედალმა ჩუტრუკმა გარდი-გარდმო, მაგრამ სადაც სიტყვა „დამხობა“ ისმის, კოკო გამსახურდიავ, იქ რა გინდა? ამას დავანებოთ თავი, შე უდღეურო, გადახედე, რა ხალხის გვერდით ზიხარ, ვინ არიან, ვინ რა როლი ითამაშა ზვიადის განადგურებაში. სულ მქონდა ეჭვი, რომ დიდ ადამიანებს ხშირად გამოყ...ევებული შვილები გამოსდით და ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები!

და ბოლოს, შალვა ნათელაშვილი – ვატყობ, ეშმაკსაც კი შეეკვრება, ოღონდ ბიძინა ივანიშვილი დააზარალოს. პრინციპში, შეეკრა და არა ერთხელ, სატანის მოციქულ გვარამიას ძმაკაციც კი იყო ერთი პერიოდი. ამან მიხოს შესთავაზა, გრიგოლი ვინ არი, მე წარმადგინე პრეზიდენტობის კანდიდატადო. იმან უარი უთხრა. ეს გაიბუტა. ახლა ისევ შეურიგდა. შალვას შემთხვევაში ფილმი „მონანიება“ მახსენდება – ეშმაკთან მიხვედი აღსარების ჩასაბარებლად, შალვა? ან იქნებ არც მიხვედი და ყოველთვის იქ იყავი?!

რევოლუცია არ და ვერ იქნება... არ ხართ თქვენ ის ხალხი, ქართველ ერს რომ აჯობებთ. ერთხელ რომ აჯობეთ, მაშინ სხვა დრო იყო... სიმართლე გითხრათ, მაშინ არც ველოდით და ჩვენც დავიბენით, ახლა კი თავისუფლად შეგვიძლია, იქით გაგისწორდეთ, თქვე მარადიულო ბოზებო!!!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# შენაც, ბრუტუს?

## ანუ როგორ გამოჩხრიკა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი ჯალათი?

მოყოლებული იულიუს კეისრის ეპოქიდან, პოლიტიკური ცხოვრების ბნელ და სისხლის სუნით აშმორებულ ლაბირინთებში დღემდე ისმის გაოცებით და გაკვირვებით ნათქვამი:

— შენაც, ბრუტუს?!

— „შენაც, ბრუტუს“ არა, მაგრამ — „შენაც, გრიშავ?!“ აუცილებლად აღმოხდებოდა შორეულ ამსტერდამში მყოფ სააკაშვილს, როცა ის მისგან ნაფერებ-ნალოლიავებმა გრიშამ, ვაშაძემ, ფაქტობრივად, «на х..»-ზე გააგზავნა, როცა სააკაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება კერძო პირის კერძო მოსაზრებად გამოაცხადა და არა პოლიტიკური ლიდერის დირექტივად, რომელიც უპირობოდ უნდა შესრულდეს.

●

ენამ მიყივლა და მეორე ტურის წინ ასეთი რამ დავწერე: II ტური, ეს იქნება სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური სასაფლაო-მეთქი.

ეს წინასწარმეტყველება მართლაც ახდა და დღეს თუ ვინმე არის სერიოზულად დაზარალებული II ტურის პოლიტიკური ბატალიების შემდეგ, ეს არის „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი მიხეილ სააკაშვილი.

საქმე ის არის, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ ღიად თქვა უარი მიხეილ სააკაშვილის მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმაზე, რითაც მოცემულ სიტუაციაში მთავარ პოლიტიკურ ფიგურად გრიგოლ ვაშაძე აღიარა.

გაერთიანებული ოპოზიციის ეს კონფრონტაციული დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ არც „ნაცმოძრაობას“ გაუპროტესტებია და არც გაერთიანებულ ოპოციზიაში შემავალ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლობას.

ერთადერთმა ნიკა მაჭუტაძემ გამოთქვა თავისი აღშფოთება და ვიღაც-ვიღაცებს შეჩვენებით დაემუქრა, თუმცა ისიც მალე მოეგო გონს და მანაც ოპოზიციის ახალი ჰიმნის ტექსტს ააყოლა ბანი.

სააკაშვილი მიხვდა, რომ მის მიერ შემოთავაზებული საყოველთაო დაუმორჩილებლობის და რევოლუციის გეგმა ჩავარდა და, როგორც იტყვიან, სასწრაფოდ გადაატრიალა „პლასტინკა“, მაგრამ გვიანი იყო — პროცესის მართვის სადავეები მას უკვე გაექცა ხელიდან და გაერთიანებული ოპოზიციის პოლიტიკური სუბიექტების თვალში მისი ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა.

მას უკვე არ უსმენდნენ — უფრო ზუსტად, მოსმენით კი უსმენდნენ, მაგრამ მის მოსაზრებებს ანგარიშს არ უწევდნენ და იმ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რაც მათ მიაჩნდათ სწორად.

ვაშაძე მიზანმიმართულად აგრძელებდა სააკაშვილისგან დისტანცირების ტაქტიკას და ღიად მიანიშნებდა, რომ ის დამოუკიდებელი პოლიტიკური პერსონაა და არა სააკაშვილის მარიონეტი.

სააკაშვილმა სცადა დაყვავებით, მოფერებით, კომპლიმენტებით მოელბო უეცრად გაკერპებული ვაშაძის გული, მაგრამ ვაშაძე სულაც არ აღმოჩნდა ისეთი მიამიტი და სენტიმენტალური ბუნების კაცი, რომ მსგავსი დითირამბებით მოხიბლულიყო და გული აჩვილებოდა.

სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ჩართვაში კიდევ ერთხელ „მიაწვა“ ღალატის და განდგომის გზაზე შემდგარ ყოფილ თანამებრძოლებს — თქვენ რა საკუთარ თავზე წუხხართ მხოლოდ და რას ბაქიბუქობთ, როცა ქვეყანა თავზე გვექცევაო, რაზეც გაწიწმატებულმა და გაკაპასებულმა ნიკა გვარამიამ მკვახედ მიუგო: თქვენ რა განაღვლებთ, თქვენ შორს ხართ, ჩვენ კიდევ აქ ვართ, ოჯახები გვყავს, შვილები გვყავს და მათ უსაფრთხოებაზე არ უნდა ვიფიქროთო?

ნათელი იყო, რომ გვარამიას ბაგეებით ვაშაძე და ოპოზიცია ეპასუხებოდა ქვეყნის გადარჩენის სურვილით შეპყრობილ „პატრიოტ“ სააკაშვილს და მის იმ ადგილზე მოსმას ცდილობდა, რაც მას ვაშაძემ და ოპოზიციამ მიუჩინა.

სილა, რომელიც გვარამიას ხელით ვაშაძემ და ოპოზიციამ საჯაროდ და სახალხოდ გააწნა სააკაშვილს, ფაქტობრივად, სილა კი არა საკონტროლო გასროლა იყო, რითაც, მოცემულ ეტაპზე, სააკაშვილის, როგორც ოპოზიციის ლიდერის, არსებობას წერტილი დაესვა.

საქართველოში მისივე თანამებრძოლების თუ „ხელქვეითების“ მიერ პანღურამორტყმული და გაბითურებული სააკაშვილი ახლა, როგორც ამბობენ, უკრაინის საარჩევნო ფრონტზე აპირებს გადართვას.

ჩასვლით ის უკრაინაშიც ვერ ჩავა, მაგრამ ამჯერადაც დისტანციურად შეეცდება პროცესების მართვას და ისედაც არეულ-დარეული უკრაინის კიდევ უფრო არევ-დარევას.

სააკაშვილის მოქმედებებში ყველაზე გასაოცარი და გასაკვირი ის არის, რომ, რასაც ის თავისი პოლიტიკური საქმიანობის განმავლობაში აკეთებდა და აკეთებს, თითქოსდა რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს რუსეთის სასარგებლოდ ლაგდება და მის წისქვილზე ასხამს წყალს.



ასე იყო საქართველოში, ასე იყო უკრაინაშიც.

კიდევ უფრო გასაოცარი ის არის, რომ, მიუხედავად ზემოთთქმულისა, სააკაშვილი მაინც პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად ითვლება და ის დღემდე დასავლეთის პოლიტიკური წრეების მფარველობით და მხარდაჭერით სარგებლობს.

არ არის საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდესო, ნათქვამია.

მოვა დრო, სააკაშვილთან დაკავშირებულ საიდუმლოებებსაც აეხდება ფარდა, ხოლო მოსკოვში, წითელ მოედანზე, აუცილებლად დაიდგმება მიხეილ სააკაშვილის ძეგლი წარწერით: მიხეილ სააკაშვილს — მადლიერი რუსი ხალხისგან.

თუმცა, სანამ ეს მოხდება, მანამდე კიდევ დიდი დროა, ამ ხნის განმავლობაში კი დიდი კონსპირატორი კიდევ ბევრ მავნებლობას ჩაიდენს.

მისი ბოლო მავნებლობა, მისი ყველაზე უტიფარი და ცინიკური „ხუმრობა“ — მის მიერვე ოკუპანტად შერაცხული რუსეთის ბარაქიანი ძუძუებით გამოზრდილი გრიგოლ ვაშაძის, თხემით ტერფამდე რუსი პოლიტიკოსის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენა — სააკაშვილს ბუმერანგივით შემოუტრიალდა უკან.

როგორც ჩანს, ვაშაძემ სათანადო ინსტრუქციები მიიღო თავისი პატრონებისგან და სააკაშვილს იმ დროს ჩასცა ზურგში ლახვარი, როცა ის ამას ყველაზე ნაკლებად ელოდებოდა.

●

...როგორც სარწმუნო წყარომ გვაცნობა, ისედაც ნერვიული და ფსიქიკური პრობლემებით დახუნძლულ სააკაშვილს, ბოლო ხანებში, საკმარისია, ჩაეძინოს, იმწამსვე ხმამაღლა იწყებს ყვირილს: შენაც, ვაშაძევ! შენაც, ვაშაძევ!

იმავე წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილი ყოველღამე სიზმრად ხედავს შევარდნაძეს, რომელიც შეშინებულ მიშას თითს უტრიალებს ცხვირწინ და ერთსა და იმავე ფრაზას უმეორებს დაუსრულებლად: — მე რომ გამწირე, კარგი იყო? შენ რომ გამწირე, კარგი იყო?

სხვები თეთრ სამოსში არიან გამოწყობილნი, შევარდნაძეს კი რატომღაც შავი სამოსი აცვია.

— რატომ გაცვიათ მხოლოდ თქვენ შავი სამოსი? — უკითხავს ერთხელ მიშას ბატონი ედუარდისთვის.

— რა ვიცი, ჩემო მიშიკო... აქაური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მითხრა, თქვენ იმდენი შავი საქმე გაქვთ გაკეთებული, თეთრი სამოსის ჩაცმის უფლებას ვერ მოგცემთო. ჰოდა, დავდივარ ასე სუდარაში...

ამ სიტყვებზე მიშას იმწამსვე ეღვიძება და სკუკუნს იწყებს — არ მინდა სუდარა! არ მინდა სუდარა!

ვაშაძევ და მელიავ, უგულავავ და გვარამიავ, ხოშტარიავ და ბაქრაძევ და კიდევ სხვა მრავალნო თახსირნო და მატრაბაზნო, თქვენ მოგეცათ ამ კაცის ცოდვა, ისედაც გადარეული მთლად რომ გადაიყვანეთ ჭკუაზე და ასე უპატრონოდ რომ დააგდეთ უცხო ქვეყანაში.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# ფანფარონების და ტრა.ში დაკოდილთა შესახებ

უცხო სიტყვათა ლექსიკონის თანახმად, სიტყვა "ფანფარონი" ფრანგული ენიდან მოდის და ნიშნავს – ბაქიას, მკვეხარას, თვითდაჯერებულ ადამიანს. აი, რუსები რომ იტყვიან ხოლმე, "სამადავოლნი ბალვან"-იო, სწორედ ეგაა. ჰოდა, რამ და ვინ გამახსენა ეს სიტყვა ახლა? 4 დეკემბერია, საღამოს 8 საათი, წამოწოლილი ვარ დივანზე, თან ხელში ტელევიზორის პულტს ვათამაშებ. გავიხედე, უცებ გუბაზ სანიკიძე და ირაკლი ოქრუაშვილი არ წამოიტრაკნენ ინგა გრიგოლიას "რესაქციაში"? ვააა... თვით ინგასაც კი გაუკვირდა, თქვენ ერთად რანაირად მოხვედით სტუდიაშიო? ერთმა აფერისტმა, ანუ ფანფარონმა იქით ჩაიხითხითა, მეორე აფერისტმა, ანუ ფანფარონმა კიდევ აქეთ... ისაო, როცა მამული განსაცდელშია, პირადი რაღაცები გვერდზე უნდა გადავდოთო, ჩვენაო, შვილებსა ვზრდით, გვინდა, ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრონო... გვინა, რომ არსად გაიქცნენო... აი, ბიძინა ივანიშვილი კიდე იგეთ პოლიტიკურ სიტუაციასა ქმნის, ახალგაზრდები გარბიანო. ჰოდაო, ჩვენ რო მივხედავთ სამშობლოს, გაქცეულებიც დაბრუნდებიან, ვინც გაქცევას აპირებს, ისინიც გადაიფიქრებენ, ავაყვავებთ სახელმწიფოს, თავისუფლების მოედანზე დავდგამთ ერთ დიდ სამოვარს, ავადუღებთ ჩაის, პურზე სქლად წავუსვამთ შოკოლადიან კარაქს, ანუ "ნუთელას", შემოვუსხდებით მრგვალ მაგიდას და შთამომავლებს ვესაუბრებით არა მხოლოდ ხელოვნებაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ მოვიპოვეთ თავისუფლება, ძმობა, ერთობა და სიყვარულიო. გულში გავიფიქრე, ორივენი რა დიდი პროჭები იყავით, იმას არ ეტყვით-მეთქი? გეგონება გაიგეს, მიხვდნენ, ეგრევე დაიწყეს თავის მართლება, პოლიტიკა იგეთი რაღაცაა, შეიძლება დღეს ადამიანი გძულდეს, ხვალ კიდე შეგიყვფარდესო, მის გვერდით დაჯდე და მამულის ბედზე იფიქროო.

მოკლედ, ილაპარაკეს, იქაქანეს, ღეჭეს მრავალჯერ ნათქვამნაბოდიალები და ბოლოს მიადგნენ მთავარს... მთავარს რა, მიადგნენ თავიანთი ბებიების მძ...ნერით გატენილ მუთაქებს და ამოღერღეს... ვინაიდან ბიძინა ივანიშვილი არჩევნებით არასოდეს წავა, რევოლუცია უნდა მოვაწყოთო. ვაჰმეო, შეჰკივლა ინგა გრიგოლიამ, მომესმა თუ თქვენ მართლა რევოლუციას აანონსებთო? არ მოგესმაო, ჩაიბურდღუნა თავისებურად გუბაზმა, საქართველოს პაშინიანი უახლოვდებაო. უი, გაიკვირვა ისევ ინგამ, პაშინიანი რომელი ხართო? ჯერ არ ვიცითო, მაგას გავარკვევთ და მერე გეტყვითო.

გუბაზ სანიკიძე: "ფაშინიანის ამბავი გვიახლოვდება და მთავარი ის არის, რომ ფაშინიანს თვითონ ეპოქა ქმნის და ვითარება. ფაშინიანმა დაიწყო მოძრაობა ქვეყანაში ორი მანქანით, 10 კაცი დადიოდა. რაც შეეხება 16 დეკემბერს, გამორიცხულია, ჩვენ ამას არ შევუერთდებით იმიტომ, რომ მე პირადად მაქვს რადიკალურად განსხვავებული პოზიცია. სალომემ ძალიან საეჭვო არჩევნებში მოიგო, მაგრამ ფაქტორია. ახლა სალომე ზურაბიშვილი რომ პრეზიდენტად არ ვაღიაროთ, დავამხოთ და რევოლუცია მოვაწყოთ, ამას მოჰყვება უვიზო რეჟიმის გაუქმება და მთელი ამბები, ამიტომ სალომესთვის უნდა დავტოვოთ ღია ოპოზიციური კარიბჭე. საქართველოს ხელისუფლებას მივმართავ, ჩემო ძვირფასებო, ძალიან ბევრი თქვენთაგანი ჩემი მეგობრები ხართ, ქვეყანა არ წაიყვანოთ აქეთ. არ ხართ იმპერატორები, არ ხართ მაგრები, ძალიან სუსტად ხართ. მე რევოლუციის არ მეშინია. დასჭირდება ამ ქვეყანას რევოლუცია?! მოხდება რევოლუცია, თუ არაფერს არ შეცვლით, თუ საარჩევნო გარემოს არ შეცვლი თ. თუ აქ არჩევნები არ ჩატარდება ნორმალურად, საქართველო მიიღებს რევოლუციას და მე კი არ ვარ ამის გარანტორი, ქართველი ხალხია".

ისევ ბლა-ბლა-ბლა ქართველი ხალხის სახელით უსახელოთა პირიდან. დიდ გუბაზ ირაკლი ოქრუაშვილმაც გაუტოლა თავი, ეს არჩევანი ჩემთვის იყო ჭაობს, სიბნელესა და ცვლილების მოლოდინს შორის, ასე მივიღე მე გადაწყვეტილება და სხვანაირად არ შემეძლო, რომ დამენახა მე რაიმე სახის პოზიტივი, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებდიო. ვერაფერი გაიგეთ, ხომ? იძულებული ვარ, აგიხსნათ: ესე იგი, ირაკლი, რომელიც 2003 წლიდან მოყოლებული ხალხს საძინებლებში უვარდებოდა და ისე აპატიმრებდა, მერე კი ფულს ახევდა, მერე კი მიხომ თავისსავე წუმპეში ახოხიალა, ამბობს, მე იგივე ვარ მარად და მარად, გინდ წინ მომი... ვით, გინდ – უკანო. მაინც ვერაფერი გაიგეთ, ხომ? ვაააჰ, კაცოოო, აეგ ტიპი მიხომ "ფიფრინავში" ჩასვა და პარიზში გააგდო. თუმცა მანამდე ალაპარაკა, სააკაშვილს რომ დავუპირისპირდი, შემეშალა, სულ ტყუილები გითხარით, მაპატიეთო. ამის მერე შესვა ვირზე კი არა... "ფიფრინავზე" და გააგდო. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ეხლაც ფრანციაში იჯდებოდა და პერიოდულად "კამაზით" გამოქანდებოდა "ჩერეზ" ცხინვალი რევოლუციის მოსაწყობად. რაც მართალია, მართალია, სულზე მოუსწრო ივანიშვილმა არა მხოლოდ მაგას, მაგის გამო ციხეში გამომწყვდეულებსაც, მაგრამ რას ვხედავთ? ირაკლიმ ცოტა მოიკეთა თუ არა, წელში გაიმართა თუ არა, ეგრევე მიადგა ბიძინას, უნდა დაგამხოო, უნდა გაგაგდოო, თანაც ფრანციაში, სადაც მე ვეგდე, იქაო. თან არ დაგავიწყდეთ, ოქრუაშვილი ამ საქმეში იმ სააკაშვილს შეეკრა, რომლის წინააღდეგაც სასამართლოში არაერთი ჩვენება მისცა. აი, აღარც სინდისი, აღარც ნამუსი, აღარც კაცობა, აღარც ადამიანობა, აღარც არაფერი. ნახეთ, რას ბოდიალობს:

"ჩემთვის ეს არ ყოფილა არჩევნები, ეს იყო სპეცოპერაცია კარტოფილი. ჩვენ დღეს მივიღეთ პრეზიდენტი, რომელიც არის არჩეული „ქართული ოცნების" მხარდამჭერების მიერ, გარკვეული იდეების მატარებელი ადამიანების მიერ და ქურდების, ძველი ბიჭების, პრობაციონერების, ნარკომანების, იმ ადამიანების მიერ, რომელთაც ძალიან უჭირდათ და იძულებულნი იყვნენ, კარტოფილი აეღოთ. სააკაშვილის ფაქტორი ასე ადვილად წასაშლელი არ არის, მეთოდებს დახვეწენ, არაფერი დათმობები არ იქნება. ივანიშვილი ხელისუფლებიდან არჩევნების გზით წამსვლელი არ არის".

ოპააა... ივანიშვილი ხელისუფლებიდან არჩევნების გზით წამსვლელი არ არისო, ისევ მომიწევს "კამაზზე" შემოჯდომაო. უმადურობა მინახავს, როგორ არ მინახავს, მაგრამ ეგეთი და ამ დონისა? არასოდეს!

გუბაზ სანიკიძემ მეორე დღეს, 5 დეკემბერს თავისივე ჭკუის დავით აქუბარდიას მიაკითხა, რაღაცები გამომრჩა და მალაპარაკეო. ილაპარაკა, ძალიან ბევრი სისულელე ილაპარაკა, მთელი ცხოვრება სააკაშვილს ვებრძოდი და ახლა მიშოსტობას მაბრალებენო. მერე ბიძინა ივანიშვილს მიადგა, თამარ მეფეს რომ ახსენებ, შენ რა იცი, ეგ ვინ იყოო? საოცარია პირდაპირ, გუბაზს თამარ მეფე და საქართველოს ისტორია პრივატიზებული აქვს, მარტო მაგან იცის, ვინ ვინ არი, სხვამ ხმა არ უნდა ამოიღოს. მაშ, კაცო, მაშ, მაგან რა იცის, თამარი ვინ იყოო? – კვერი დაუკრა "ჯანგოს" ქმარმა, რომელიც აფხაზეთის ომის დროს "კრაოტის" ქვეშ იმალებოდა. მაი ამბავი არ იცით, ხომ? რაკი ეს უდღეურები არ ისვენებენ და სხვაზე ასე ქილიკობენ, უნდა მოვყვე: ესე იგი, გაგანია ომია აფხაზეთში, დღე-დღეზე სოხუმი უნდა დაეცეს, ქართველები იღუპებიან, "აქუ" სახლშია, დივანზე კოტრიალობს. მაშინ "ჯანგო" არ ჰყავდა ცოლად, მისი მეუღლე ერთი პატივსაცემი პოეტესა გახლდათ (გვარს შეგნებულად არ დავასახელებ), რომელიც აფხაზეთში იბრძოდა. ერთ დღესაც მეომარი პოეტესა სახლში დაბრუნდა, ხედავს, მისი ქმარი მხართეძოზეა წამოწოლილი და ტროცკის ბიოგრაფიას კითხულობს. შე ლაჩარო მაიმუნოო, გადატენა ავტომატი და ჰაერში ისროლა, სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა. "აქუ" შეძვრა "კრაოტის" ქვეშ, იქიდან იხვეწებოდა, შევრიგდეთ, შენ რომ გგონია, ეს ის არ არის, ზავი, ზავიო. ჰოდა, ახლა ეს მელაპარაკება ცინიკურად, ბიძინა ივანიშვილი უწიგნურია, არც თამარ მეფე გაუგონია, არც დავით აღმაშენებელი, არც ილია ჭავჭავაძეო. მაშ, მაშ, ზუსტად ეგრეაო, უდასტურებს გუბაზი თავისი ბუყბუყა ხმით, გეგონება წყალში გაუკუებიათო. სირცხვილი და თავის მოჭრა, ველ გაძლა ამათი მუცლები, ერთს მილიონის შოვნა უნდოდა ბიძინას ხარჯზე და ვერ იშოვა... თუმცა ამბობენ, მილიონი კი არა, ცოტა მეტიც იშოვა, თქვენ რომ გგონიათ, არც მთლად ეგრეა საქმეო... მეორეს კიდევ თავისი ტელევიზიისთვის ახალი ოფისი უნდოდა და ბიძინამ არ მისცა საყიდელი ფული. ერთი შეიტანა პარლამენტში, დაიძინა და 2016 გაიღვიძა, მეორეს კიდევ დღემდე სძინავს, თან მაგიდის ქვეშ ტაშტში აქვს ფეხები ჩაწყობილი. მოუნდათ ბიჭებს მილიონები და კაი ცხოვრება ივანიშვილის ხარჯზე, ვერ მიიღეს და დადგნენ რევოლუციურ ხასიათზე. ბებიათქვენის ტრაკმა, თუ გადატრიალებგადმოტრიალება გინდათ, საკუთარ "კრაოტებში" გადატრიალდით და გადმოტრიალდით, ლამის ნაწოლები რომ გაგიჩნდათ ტრაკზე!

და ბოლოს... იცით, გუბაზმა რა იკადრა "აქუსთან" პირდაპირ ეთერში? აეგრე, თითქოს სასხვათაშორისოდ წაიჭორავა, ბიძინას მეგრელები ეზიზღებაო. ჰი, ჰი, ჰი... მაგას სხვებიც ამბობენ, ხო იციო, დაუკრა ბეჭედი ირიბად "ჯანგოს" ქმარმა. ჰოო-ვო, ვერ იტანსო, კაცო, ალერგია აქვსო, ჩაიხითხითა მომავალმა ფაშინიანმა, უფრო სწორად, ფაშინიანობის მსურველმა. ამიხსენით, ხალხი არა ხართ? ეს ხომ წმინდა წყლის "კაკებეშნიკური" მეთოდია, რომელიც გაცვდა და დაიხა ჩინური ჩითის "ტრუსიკივით"? ასე აუგორეს სიბინძურე ზვიად გამსახურდიას, კახელები ეზიზღება და შაჰ-აბასის ნაბიჭვრებს ეძახისო, ასევე ცდილობდნენ სიბინძურის აგორებას სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ, მეგრელებს და კახელებს ვერ იტანსო. ქალი კახელია და მეგრელი ქმარი ჰყავდა, როგორ შეიძლება, ან ერთს ვერ იტანდეს, ან მეორეს? ბიძინა ივანიშვილს შინაგან საქმეთა მინისტრი და უამრავი თანამდებობის პირი მეგრელები ჰყავს, თუ ეზიზღება, იქ გააჭაჭანებდა? აი, სადამდე შეუძლია ადამიანს დაშვება და ტლაპოში ჩაფლობა, ხედავთ?!

შარშან ერთმა სოლიდურმა ადამიანმა მითხრა, გინება და ბილწსიტყვაობა არ გიხდება, ცოტა თავი შეიკავეო. დავფიქრდი, თითქოს მეც არ მომეწონა და გადავწყვიტე, უფრო კეთილშობილურად მეცხოვრა... აი, არ გამომდის, ვერ ვცხოვრობ კეთილშობილურად, არ მაცდიან, არ მაძლევენ ამის საშუალებას, ეს... ეს... ეს... ფანფარონები!!!

**P.S.** კარტოფილზე, ხახვზე, მაკარონზე და ბადრიჯანზე გაყიდულები თქვენკენ მოიკითხეთ, თქვე ფულის ხურუშიანებო!!!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61





# არ ვიცი, რა შეიძლება ეშველოს ამ ქვეყანას, როცა ერი თვითლიკვიდაციის რეჟიმში ცხოვრობს

***გვესაუბრება მწერალი და პუბლიცისტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი კვარაცხელია.***

**— ბატონო ვალერი, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი და მეორე ტური საინტერესოდ და, შეიძლება ითქვას, უჩვეულოდ წარიმართა. აქედან გამომდინარე, რა სურათი იხატება, რა ხდება ქვეყანაში?**



— თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ მე ვაღიარებ სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად, რადგან ასეთია ქართველი ხალხის ნება. თუმცა მას არ მივულოცავ, იმიტომ რომ, ჩემი პოლიტიკური მსოფლმხედველობა დიამეტრულად განსხვავდება მისი მსოფლმხედველობისგან. პირველ რიგში, საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ვგულისხმობ.

ქალბატონი სალომე პროდასავლური მიმართულების პოლიტიკოსია და საქართველოს გადარჩენას დასავლეთთან ინტეგრაციასა და ნატოს წევრობაში ხედავს. მისი ეს ორიენტაცია ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ნგრევა, ეკონომიკური, დემოგრაფიული და მორალური კოლაფსი სწორედ ამ ორიენტაციის შედეგია. იმიტომაც ვერ ვულოცავ და არ ვულოცავ ქალბატონ სალომეს ამ მაღალ პოსტზე არჩევას, რომ მისი მომავალი მოღვაწეობიდან საქართველოსთვის სასიკეთოს არაფერს ველი.

**— აბა, რატომ მიიჩნევს ოპოზიცია მას პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსად?**

— ქალბატონმა პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ საომარი მოქმედებები ცხინვალში ქართულმა მხარემ დაიწყო. ამაზე დაყრდნობით აცხადებდა ოპოზიცია, ზურაბიშვილი პრორუსიაო. გრიგოლ ვაშაძესაც იგივე ბრალდებებს უყენებდნენ, რადგან ის ადრე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. სინამდვილეში, არც ერთი და არც მეორე არავითარი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები არ არიან, ორივე დასავლური მიმართულების გახლავან და იმ პოლიტიკური კურსის გამგრძელებლები არიან, რომელიც ოცდაათი წელიწადია ანგრევს საქართველოს.

ამ აბსურდულ ურთიერთბრალდებებს ერთი ახსნა აქვს: ორივე მხარემ შესანიშნავად იცის, რომ საქართველოში და საქართველოს გარეთაც წარმატებით იყიდება ანტირუსული განწყობილება.

ეს მესიჯები, ძირითადად, დასავლეთისთვის იყო განკუთვნილი. ვაშაძე და ზურაბიშვილი ერთმანეთს ასწრებდნენ ვიღაცისთვის დაემტკიცებინათ, რომ ჩემი კონკურენტი პრორუსული ორიენტაციისაა, მე კი ის ვარ, ვინც საქართველოში ე.წ. პროდასავლური კურსს გააგრძელებს, ანუ იმას განახორციელებს, რაც თქვენ გჭირდებათ, რაც თქვენ ხელს გაძლევთო

**— ოპოზიცია დღემდე გაიძახის არჩევნები გაყალბდაო...**

— გაყალბებას არ გამოვრიცხავ, მაგრამ გაყალბებაც არის და გაყალბებაც...

**— ანუ?**

—ვფიქრობ, "ქართულმა ოცნებამ" არჩევნები გააყალბა არა იმდენად, რომ თვითონ დამარცხებულიყო და "ნაცებს" მოეგოთ, არამედ იმდენად, რომ არჩევნები თვითონ მოეგოთ, მაგრამ "ნაცები" შეუცვლელ მეორე ძალად წარმოჩენილიყო.

**— აზრი? რა ინტერესი ძევს ამაში?**

— მმართველ პარტიას არ სურს დაკარგოს პოლიტიკური საფრ-



თხობელა, რომელიც "ნაცებისგან" შექმნა. ამიტომ ამ დამნაშავე და გაკოტრებულ პარტიას არჩევნების გაყალბების გზით დაუწერა ხმათა ის რაოდენობა, რომელიც მას ხალხის თვალში გარანტირებულ მეორე ადგილს უმკვიდრებს.

ჩემს არგუმენტს არჩევნების ამგვარ პირუკუ გაყალბებასთან დაკავშირებით ამყარებს ისიც, რომ "ნაცმოძრაობას", რომელიც თავის თავს გაერთიანებულ ოპოზიციას უწოდებს, თურმე მიუღია 800 000-მდე ამომრჩეველთა ხმა, მაგრამ არჩევნების შემდეგ "ნაცმოძრაობა" მართავს აქციას, სადაც უნდა დაამტკიცოს, რომ ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი კი არა, მათი კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე აირჩია. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ეს აქცია მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, იქ რვაასი ათასის ნაცვლად მხოლოდ ოთხი თუ ხუთი ათასი ადამიანის მიყვანა მოახერხეს, რაც სრული კრახი ყო. ნათელია, რომ მათ, რეალურად, არავითარი რვაასი და ცხრაასი ათასი ამომრჩეველი არ ჰყოლიათ. როგორც ჩანს, ეს ციფრი სხვაგან დაიწერა იმის გამო, რომ ეს ე.წ. კოაბიტაციის რეჟიმი გაგრძელდეს.

**— ძალიან მძიმე სურათი დახატეთ. ე.ი. კოაბიტაცია გაგრძელდება?**

— სამწუხაროდ, გაგრძელდება. რაც შეეხება მძიმე სურათს, ის კიდევ უფრო მძიმდება იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნებში მოსახლეობის უმრავლესობა არ მივიდა. იბადება შეკითხვა: რატომ არ მივიდა, პოლიტიკური ხასიათის მარხვა ჰქონდა, არჩევნების პროცესი არ მოსწონდა, არჩევნებს არ ენდობოდა, რაღაცის გამო პროტესტს აცხადებდა თუ რაში იყო საქმე? საქმე ისაა, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობას თავისი ასარჩევი კანდიდატი არ ეგულებოდა, ვინაიდან მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და ორიენტაციის შესაბამისი კანდიდატი არ იყო დასახელებული. ამას აქვს თავისი მიზეზი. იმ პოლიტიკური ძალებს, რომლებსაც მხარს დაუჭერს მოსახლეობის უმრავლესობა, პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით ყველა გზა მოჭრილი და შეზღუდული აქვს. ის ორმოცდათხუთმეტი პროცენტი, რომელიც არჩევნებზე არ მივიდა, სწორედ ისეთი ძალის გამოჩენას ელოდება, რომელიც მისი პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისი იქნება. ეს იმის ნიშანია, რომ საზოგადოებრივი აზრი საგარეო პოლიტიკური ვექტორის შესაცვლელად მომწიფებულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვჭირდება უსაფრთხოების ერთგვარი ქოლგა, კოლექტიური უსაფრთხოების ის სისტემა, სადაც თავს შევაფარებთ. ქართველ ხალხს წლების განმავლობაში უმტკიცებდნენ, რომ ნატო და ევროკავშირია ასეთი ქოლგაც და გადამრჩენელიც, მაგრამ იგი დიდი ხანია მიხვდა, რომ ეს ის გეოპოლიტიკური მირაჟია, რომელიც რეალობად ვერასოდეს იქცევა. დასავლეთისა და ნატოს ვარსკვლავს გამოკიდებული საქართველო ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე აღმოჩნდა. დაიკარგა ტერიტორიები, დაკნინდა მწერლობა, განიავდა შედევრების შემქმნელი ქართული



კინოსტუდია, გაქრა კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების მთელ მსოფლიოში აღიარებული კერები, დაინგრა მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, დაინგრა უმძლავრესი ეკონომიკა, მძიმე მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მთლიანად განადგურდა ჩაის კულტურა, მეაბრეშუმეობა და მრავალი სხვა დარგი. იქნებ გარყვნილების ის აპოლოგიაა ყოველივე ამის ალტერნატივა, რომელიც მიზანმიმართულად ინერგება? იქნებ ნარკოტიკების გარკვეულ სახეობათა დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაციაა უფრო დიდი მონაპოვარი ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში, ვიდრე სადღეისოდ განადგურებული მეტალურგია, ქიმია, ავიამშენებლობა, გემთმშენებლობა, ელმავალმშენებლობა, ჩარხმშენებლობა და სხვა მრავალი, ან მოსახლეობის სოციალური დაცვის ის არნახული პაკეტი, რაც პირწმინდად დავკარგეთ და მეხსიერებას შემორჩა, როგორც განუმეორებელი, ტკბილი სიზმარი? იქნებ სხვა რამ შევქმენით, უფრო მძლავრი, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო დიადი, მაგრამ რა? მიმოვიხედოთ ირგვლივ, ხედავთ რამეს? რას დაინახავთ, რაც არ არის?!

იქნებ დამოუკიდებლობის მოპოვება ღირდა იმ მსხვერპლის გაღებად, რაც ჩამოვთვალეთ, მაგრამ ვინ იტყვის, ვის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ თუნდაც ერთი ნაბიჯი გადავდგით დამოუკიდებლობის მიმართულებით? ოცდარვა წელიწადია დაგვცინის ამერიკა, დამოუკიდებლები ხართო. დაცინვას მაინც რას გვემართლებიან, არა სჯობს, ის გვიწოდონ, რაც რეალურად ვართ — დასავლეთის კოლონია, მეათეხარისხოვანი დანამატი, გამოსაყენებელი ტერიტორია, სამხედრო პლაცდარმი, იაფი მუშახელისა და ნედლეულის ბაზა, სატრანზიტო დერეფანი, ფეხის შესაწმენდი ტილო... ძნელია ამის გაძლება, ამის გააზრება, ამის გაცნობიერება, ამის დაჯერება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასეა და ამას დამალვა და წაყრუება არ შველის. მანამდე, ვიდრე მატერიალურ ღირებულებებს მოგვისპობდნენ, სული ამოგვაცალეს. შეხედეთ ჩვენს ტელეეკრანებს, მოუსმინეთ ათასი ჯურის მოლაყბეს, დააკვირდით ერის ფსიქიკაში მიმდინარე საგანგაშო ცვლილებებს და აღმოაჩენთ, რომ რაღაცა გარეშე ხელმა თუ არ გვიშველა, ამ ხალხს, ამ ერს, ამ ქვეყანას ფეხზე წამოდგომის აღარც ძალა შერჩენია, აღარც პოტენციალი და, სამწუხაროდ, აღარც სურვილი, ერი თითქოს თვითლიკვიდაციის რეჟიმში ცხოვრობს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ქალბატონი სალომე მთელ საქართველოში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ევროპული პოლიტიკა იცის არა წიგნებიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდან



*გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, როგორ დაახასიათებთ საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტს?**

— ქალბატონი სალომე მთელ საქართველოში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ევროპული პოლიტიკა იცის არა წიგნებიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდან. იგი ევროპულად აზროვნებს. ჩვენ ხომ ევროპისკენ მივიწევთ. სალომე ზურაბიშვილი თავისი აზროვნებით, წესით უკვე ევროპელია, ანუ საითკენაც ჩვენ მივიწევთ, უკვე იქ არის. იგი თავისი ხასიათის გამო და პოლიტიკური პროფესიული ასაკის გამოც ამ თანამდებობაზე ყოფნისას კარიერაზე ფიქრს არ დაიწყებს. ომის თემაზე გაკეთებული განცხადება „ნაცებმა“ სათავისოდ გამოუყენეს და ზურაბიშვილს მოღალატეობა დასწამეს. ეს არის „ნაციონალების“ დაუნდობელი სტილი, მათთვის ტყუილ-მართალს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ზურაბიშვილს სიფრთხილე დააკლდა. ეროპაში ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ. აქ, ჯერ იმაზე უნდა იფიქრო, მეტოქე რას დაგაბრალებს. ევროპაში დაბრალების კულტურა ნაკლებია. ამ პირობებში წარიმართა პირველი ტური.

**— როგორ შეხვდა ამ პროცესებს საზოგადოება?**

— მოსახლეობაში მიმდინარე პროცესები ცალკე მოვლენაა. პოლიტიკოსები აკეთებენ გათვლას — რის მერე რა მოხდება. ისინი ჭადრაკს თამაშობენ. მოსახლეობა არ ითვლის რის მერე რა მოხდება, ის იმას აკეთებს, რაც იმ წუთას მას გულს მოფხანს. ეს ყოველთვის ასე იყო. საზოგადოებას უკმაყოფილება რაღაცნაირად უნდა გამოეხატა, რაც იმით გამომჟღავნდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ხმა არ მისცეს. გავლენა იქონია სუბელიანის, ფარცხალაძის თემებმა. ისე გამოჩნდა, რომ რა დანაშაულებებსაც „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა, იგივეს აკეთებდა „ქართული ოცნება“. ივანიშვილმა თქვა: რასაც აკეთებენ, ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენო. ეს, „ნაციონალების“ მხრიდან კარგად გათვლილი პიარი იყო. მათ სჭირდებოდათ საზოგადოებას დაენახა თითქოს, „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ ამ თემაში არ განსხვავდება. სურდათ ხალხს ეთქვა: არც ერთს მივცემ ხმას, არც მეორეს და სახლში დავრჩებიო. მოსახლეობის სახლში დარჩენა განაპირობა სწორედ სუბელიანების, ფარცხალაძეების თემების წამოტივტივებამ, ასევე, შვილმკვდარ მამებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. პოლიტიკური პროცესების პარალელურად პედალირება ამ საკითხებზეც ხდებოდა, რამაც შედეგი გამოიღო და მოსახლეობის 50% სახლში დარჩა. ასე, რომ პირველი ტური „ნაცებმა“ იდეალურად გათვალეს. რაც შეეხება მეორე ტურს, აქ, ნაციონალებმა“ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს, რის გათვლასაც უკვე ექვსი წელია ვერ ახერხებენ — „ნაცებს“ ჰგონიათ, თუ „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებენ, თვითონ გაიმარჯვებენ. „ნაცმოძრაობა“ ვერასდროს გაიმარჯვებს. ის თაობა, ვისაც მათი მოღვაწეობა ახსოვს, მხარს არასდროს დაუჭერს, თუ მათში ცვლილებები არ მოხდა. არადა, „ნაცები“ შეცვლას არც აპირებენ. ფაქტობრივად, მეორე ტურში წაგება ამან განაპირობა — გრიგოლ ვაშაძემ და დანარჩენებმა აჩვენეს, რომ ისინი ისევ სიცრუეზე, ძალადობაზე ორიენტირებულნი არიან. სააკაშვილის ყოველდღიურად ეთერში ჩართვა, ციხიდან ახალაიების, მერაბიშვილის გამოშვების პირობა მეორე ტურშიც გაგრძელდა. ხალხმა ცხადად დაინახა, რომ „ნაცები“ მოსვლას აპირებენ და ის 50% სახლებიდან გამოვიდა. ჩამოყალიბდა მოძრაობა — „არა ნაცებს“, რამაც მეორე ტურის შედეგი გადაწყვიტა.

**— ბატონო რამაზ, „ნაციონალები“ აცხადებენ: არჩევნები გაგვიყალბესო.**

— „ნაციონალების“ მხრიდან გაყალბებაზე საუბარი, სამარცხვინოა. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ ამ საქმეს გაყალბება არ სჭირდებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ აქცია იყო, სადაც 100 ათასი ადამიანი შეიკრიბა, ხოლო ნაცების აქციაზე — მხოლოდ ხუთი. მიტინგების შეფარდება გიჩვენებს, რომ არჩევნებში მიღებული ციფრები — 20%-ით ზურაბიშვილის გამარჯვება კიდევ მცირე მოგებაა. აშკარაა, პირველ და მეორე ტურშიც „ნაცებმა“ რაღაც იეშმაკეს. ამიტომ, ლოგიკური მეჩვენება ინაშვილის მოთხოვნა: შეისწავლონ შედეგები, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია: როგორ ქაჩავდნენ ვაშაძისკენ ხმებს „ქართული ოცნების“ კომისიებში ჩამჯდარი „ნაციონალები“. „ქართული ოცნების“ შემადგენლობა ხომ „ნაცებისგან“ თავისუფალი არ არის. მათ სახელად ჰქვიათ „ქართული ოცნება“, თორემ, რეალურად, „ნაცები“ არიან. „ნაცებს“, გარდა იმისა, რომ ვერ ხვდებიან — ხალხს ასეთი აგრესიული, დანაშაულზე, სიცრუეზე წამსვლელი პარტია არ უნდა, კიდევ ერთი რამ შეეშალა. ანუ, ერთი ის, რომ ვერ ხვდებიან: ხალხის სიმპათია უნდა მოიპოვონ და არა შიში. მეორე — რაც უფრო უსიმპატიუროდ, არალოგიკურად მოიქცევი, მით უფრო დაგაკლდება ხალხის მხარდაჭერა. ევროპული, ცივილური სტილი დამარცხებულის მხრიდან მეტოქის გამარჯვების აღიარებაა. მათ 2012 წელს აღიარეს „ქართული ოცნების“ გამარჯვება. ახლაც იგივე უნდა გაეკეთებინათ. 20%-ით მოგების ფონზე ჯიუტად იმის ძახილი: ვაშაძემ მოიგო, არჩევნები გაყალბდაო, უაზრობაა.

**— რა შეცდომები დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“?**

— ძირითადი შეცდომები მენეჯმენტშია დაშვებული. როგორც ჩანს პოლიტიკური მართვა, ივანიშვილმა, ცუდად იცის. კომერციული სტრუქტურის მართვა პოლიტიკურისგან ძალიან განსხვავდება. ივანიშვილმა იცოდა „ნაცმოძრაობა“ რასაც წარმოადგენდა, მაგრამ ვერ გაუშვა. ანუ, საქმე ასე მარტივად არ არის — არ მოგეწონა და გაუშვა, ბევრად რთული მექანიზმები, რთული პროცესებია. ივანიშვილი ბუნებით ქველმოქმედია, მას არ უყვარს პიარი, მოქმედებს პრინციპით — სიკეთე გააკეთე და გაიარე. ივანიშვილი წლების მანძილზე სიკეთეს ყოველგვარი პიარის გარეშე აკეთებდა. ეს გააგრძელა პოლიტიკაშიც. ამ დროს პოლიტიკას პიარი სჭირდება იმიტომ, რომ მოსახლეობისთვის ბუნდოვანია რას აკეთებს ხელისუფლება.

ამან გამოიწვია ის, რომ მმართველი გუნდის რეიტინგი დაცემულია და უფრო გახშირდა ლაპარაკი მესამე ძალაზე. ამ არჩევნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ეს არის აქცენტი მესამე ძალაზე. რეალურად, მგონია რომ ამ ინიციატივას უფრო პოლიტიკური იერი აქვს. ანუ პოლიტიკოსები ხედავენ, რომ მესამე ძალა საჭიროა, მაგრამ შესაძლებლობები ნაკლებადაა. ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს „პატრიოტთა ალიანსს“. იგი, ხალხის თვალში გამოჩნდა როგორც ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც ითხოვს „ნაციონალების“ იურიდიული და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაყენებას.

**— მოდით, დღეს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილშიც შევხედოთ. არჩევნების პერიოდში „ნაცები“ კრემლის აგენტობაში სდებდნენ ზურაბიშვილს ბრალს. ეს ბრალდებები ხალხის გასაგონად გაისმოდა თუ მათი პატრონებისადმი?**

— თქვენ მეკითხებით: „ნაცებმა“ მესიჯები თავიანთ პატრონებს გაუგზავნესო, მე არ ვთვლი, რომ მათი პატრონები მხოლოდ უცხოელები არიან. ვაშაძის კანდიდატურასაც ეტყობოდა — ვინ არის პატრონი. „ნაცები“ ორ ფრონტზე — რუსეთის და ევროპის დაკვეთებზე თამაშობენ. რამდენადაც შეუძლიათ — სიტყვით, ჯარისკაცებით, სისხლით აჩვენებენ დასავლეთს, რომ ევროპაზე ორიენტირებულნი არიან. დიდი თანხები ევროპიდან მისდით, მეორე მხრივ, საქმეს — რუსეთისას აკეთებენ. ამჟამადაც, თუ არ ვცდები რუსულ დაკვეთაზე მუშაობდნენ.

ჩინეთმა სასწრაფოდ შეცვალა სტრატეგია და იგივე ლოგიკით თავისი კომუნიკაციები პატარა ქვეყნებისკენ — კავკასიისკენ წამოიღო, რაც გამოიხატა ჩადებულ ინვესტიციაში, რასაც აბრეშუმის გზა ჰქვია. ეს აბრეშუმის გზა „გასაფუჭებელი“ იყო. რუსეთი ჩინეთის სტრატეგიის შეცვლით მილიარდებს კარგავს. თუმცა, იგი ჩინეთს ჭიდაობას ვერ დაუწყებს. ამიტომ, ძველი ხერხის გამოყენება გადაწყვიტა, რაც რუსეთ-

14 გვ. →






# მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, სიმართლის გარდა



„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!” – დიახ, ეს აკაკის სიტყვაა ილიას დაკრძალვისას წარმოთქმული, თუმცა, ეს ციტატა ნიკა რურუას ყოფილ ცოლს სოფო გორგაძეს ფეისბუქსტატუსში თავისად აქვს გამოყენებული, რომელიც სრული სახით ასე „გამოიყურება“: „Nika Rurua თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!” და ახლა საქმე ასეა: ვაჟა, ილია, აკაკი და „ერის მამა“... ნიკა რურუა“.

გავრცელებული ინფორმაციით რურუა გულის შეტევამ იმსხვერპლა. მაია ორჯონიკიძის აზრით რურუას გარდაცვალებაში რუსეთის ხელი ურევია, მეგი გოცირიძე კი ივანიშვილის კვალს ხედავს.“ჩემი სულიერი ძმა ნიკუშა რურუა... ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ქართველი და საქართველოზე გადამკვდარი პატრიოტი.. ცარიელი გული იყო... ცრემლები მახრჩობს... ხვალ მოდიოდა ჩემთან ევროპაში... rest in peace, brother!... აუცილებლად მოვიყვანთ შენს, ჩვენს საქმეს გამარჯვებამდე!”, – წერდა სააკაშვილი საკუთარ Facebook გვერდზე. „ნიკა იყო ჩემი მეგობარი. ის იყო ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც ყველა ეტაპზე იყო საინტერესო. ის იყო გამორჩეული კულტურის მინისტრი, კულტურის ბევრ მინისტრს შორის“, – უთხრა მედიას რურუების ოჯახში სამძიმრის სათქმელად მისულმა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. “მე ნიკოლოზს ვიცნობ არაერთი ათეული წელია, ახალგაზრდობიდან და ძალიან გული დამწყდა მისი წასვლის გამო. ჩვენი ცხოვრების გზები გაიყარა. პოლიტიკურადაც სხვადასხვა გუნდში აღმოვჩნდით. მაგრამ როდესაც ადამიანი მიდის, პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობა აქტუალობას კარგავს. ამიტომ მინდა მთელი გულით მივუსამძიმრო მის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ამ ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან”, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა. ნიკა რურუას მეგობრების „დიდი მწერლების, „საზოგადო მოღვაწეების“ და იმ სამეგობროს შეფასებაც გასაგებია „ერთად დაღვრილი სისხლი, რომ აერთიანებდათ“. გიორგი მარგველაშვილთან „ნაწილობრივ“, მაგრამ ყოფილი პრემიერის, კვირიკაშვილის რურუასთან მეგობრობა ფრიად დამაფიქრებელია – საინტერესოა რა ნიშნით მეგობრობდნენ რა ჰქონდათ საერთო, ან რურუას რომელ გუნდში მოიაზრებოდა „სხვადასხვა“ გუნდში აღმოჩენამდე?... ბევრი ითქვა და დაიწერა რურუას შესახებ, უცებ აღმოვაჩინეთ რომ ნიკა რურუას მსგავსი ქართველი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არ მოიძებნება. უცებ გავარკვიეთ, რომ რურუა ყოფილა ის პატრიოტი, რომელიც „ებრძოდა სტალინის ძეგლს“, ოკუპანტებს, ოკუპაციას, არჩევნების წაგების მიუხედავად სადარბაზოს კარი დაკიდა ერთ-ერთ კორპუსში და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... ჩვენ, უბრალო მოკვდავთ სხვა „დეტალებიც“ გვახსოვს ძმები რურუების და რურუების საძმოს „ცხოვრებიდან“, მაგრამ ჩვენ უბრალონი ვართ და აბა ვის რაში ადარდებს ჩვენი მახსოვრობა, მთავარია ბრალიანებს რა ახსოვთ და რა უნდათ... და, როდესაც ერთმა „უბრალომ“ ერთი ეპიზოდი გაიხსენა, „ბრალიანებით“ აღფრთოვანებულმა „უბრალოებმა“ – მიცვალებულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო, – ბრძანეს. მხოლოდ ერთ ადამიანს გაახსენდა რომ ეს გამონათქვამი, სრული სახით ასე ჟღერს: მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, სიმართლის გარდა. დიახ, სიმართლის გარდა! – „რა ვთქვა აბა? – ამ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდნილა! ოჯახის წევრთან სამუდამო განშორებაზე დიდი ტკივილი არ ვიცი, თუ არის რამე... და მაინც დიდი სიამოვნებით ვიჯდებოდი ნიკა რურუას გვერდით და მოვისმენდი სიკვდილის წინ მის აღსარებას“, – ეს პოსტი თამუნა თორაძემ გამოაქვეყნა. დღეს შეიძლება ბევრს არ ახსოვდეს ვინ არის თამუნა თორაძე, საქართველოს ტრაგიკულ ისტორიას ახსოვს ვინ იყვნენ თორაძეები და ვინ არის თამუნა თორაძე. ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი, ერთი „შემთხვევითობა“: ნიკა რურუას სამოქალაქო პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიაში მიმდინარეობდა, სწორედ იმ ვერის




ვერელი თორაძეების ტრაგედია

სასაფლაოსთან, სადაც 1992 წელს მისმა „საძმოს“ წევრებმა თორაძეების ოჯახის სამი წევრი უმოწყალოდ ჩახოცეს და შემდეგ დარჩენილ ოჯახის წევრებს „ბეტეერით“ მიადგნენ: „კარებზე აბრახუნეს, ხმა არ გავეცით, მერე ფანჯარაში მოგვიბრახუნეს: კარები გააღეთ! ვიცით, რომ აქ ხართ! ლიმონკებს შემოვყრით და ყველანი დაიხოცებით! ერთმანეთს ვუყურებდით და არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. ბოლოს კახამ თქვა გაეღო კარები თამრიკოს. თამრიკომ კარები გააღო და სთხოვა მკვლელებს, ჩაეწიათ ავტომატები, ბავშვებს შეაშინებთო. ბიჭის ხმა გაისმა თორაძეები აქ არიან, ხო?! კახამ დაიძახა, აქ ვართ ხელცარიელებიო. შემოლაგდნენ გაფითრებული დაძაბული სახეებით წინ მომარჯვებული ავტომატებით და მიუშვირეს ორივეს! კახა იმედოს გადაეფარა, ბიჭო, არ ისროლო, უიარაღოდ ვართ და შეეცადა აეწია რურუას ავტომატი ზევით! მაგრამ კიდევ იყვნენ წვერებიანი და ნიღბიანი ბიჭები, რომლებმაც იარაღი მიუშვეს იმედოს და კახაზე! დაყარეს ძირს ორივე ძმა ჩვენს წინ, ვუყურებდი და ვხაოდი ბოლო ხმაზე! მაგრამ ვერავინ შევაჩერე! ვერც ავდექი! დავინახე წვერებიანი როგორ გავიდა ოთახიდან, როცა დარწმუნდა, ორივე ძმა მოკლული იყო! რურუა (ჟორჟიკა - ქ.ზ.) არ ვიცი, რამ გააბოროტა ესე, რომ მაკაროვი ამოიღო, ჩვენსკენ გამოიშვირა! თვალით ჩამოგვიარა ბავშვებს, მერე კი დაბლა დაწია და სროლა გააგრძელა უკვე მოკლულ უსულო სხეულზე! თითქოს ვითვლიდი, ეხლა მორჩება, ეხლა და, მგონი, 7 დავითვალე! გატრიალდნენ და გიჟებივით გარბოდნენ. ჰაერში ისროდნენ უკვე სახლიდან გასულები! თითქოს ზეიმობდნენ და აგებინებდნენ ერთმანეთს! რომ მორჩა. მოვკალით! არ ვიცი. ეს რანაირად შეიძლება გადმოგცეთ, რო თქვენც შეიგრძნოთ ამ თვითეული არა ადამიანის ჩადენილი!“... ნუთუ არ ახსოვს ჟორიკა რურუას ჩემი სახე?! ჩემი თვალები?! როცა დაწია ჩემსკენ მომართული იარაღი და გააგრძელა მკვდარ სხეულზე სროლა?! ნუთუ არასოდეს შეაწუხებს იმის შიში, რომ მოწმე დატოვა?!ან იმ მეორეს (wverebians) დინჯად რომ მიაბიჯებდა?!. შეიძლება ადვილია ვიღაცებისთვის ამის მოსმენა ან წაკითხვა!!! მერწმუნეთ, არ არის ადვილი ამ ყველაფრის შემსწრემ ცხოვრება გააგრძელო და რამე კანონის იმედი გქონდეს, იმ ქვეყანაში და საერთოდ დედამიწაზე, სადაც კანონს იყიდი თუ ბევრი ფული გაქვს! იმასაც არ დავივიწყებ, რომ ეს ადამიანები ერთ დროს გაჭირვებული ოჯახის შვილები იყვნენ! „ვლასტზე“ და „მაფიოზობაზე“ ოცნებობდნენ!..როგორც ამბობენ, კეკუაც რამდენიმე წელში რურუებმა გაისტუმრეს ჯერ ციხის „კლეტკებში“ და მერე „თავის ჩამოხრჩობით“. ჩამოკიდეს, რა თქმა უნდა! “ თორაძეების ოჯახის განადგურებას „მომხრეების“ ვაკეში, გია ბარამიძის და მისი ძმის განადგურება მოყვა, მანამდე, თორაძეების მეგობრის გელოვანის მკვლელობაზე მხოლოდ ბრალი წაუყენეს გიორგი რურუას... თამუნა თორაძისთვის მაშინ, უცნობი, წვერებიანი და ნიღბიანი „ბიჭები“ დღეს თუ ცოცხლები არიან აუცილებლად წარმატებული ბიზმესმენები იქნებიან! ოთხმოცდაათიანელ „ბოროტებს“ მხედრიონელებს“და სხვა კრიმინალურ ჯგუფებს რომლებსაც დაღვრილი სისხლი აერთიანებდათ და სხვა უამრავი ჰქონდათ საერთო. ხელისუფლებამ და ქუჩამ თითქმის ერთდროულად 1995-წელს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. საძმოები სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიფანტნენ ვიდრე ქვეყნის სათავეში დიდი მიხეილი „კრიმინალების და ქურდების რისხვა“არ მოგვევლინა პრეზიდენტად და აქტიურად დაიწყო „ბოროტების“რეანიმაცია, რაც მშვენივრად გამოუვიდა და უკვე ჩასარეცხი კრიმინალები -პოლიტიკოსებად და ბიზმესმენებად აქცია, მართალია ბოლოს „ბიზნესწილების“ანუ დიდი ფულის გამო მაინც დაერივნენ ერთმანეთს, „ვერელი ბოროტები“, რომ სხვა დონე იყო ვერ გათვალა „უდელმა“ვანომ და ზის დღემდე დამარცხებულ-დადუმებული ციხეში, მაგრამ მანამდე შეხმატკბილებულად ძარცვავდნენ ხალხს და ქვეყანას (arc ეხლა აკლებენ)... ყველაფრისტი“, სისხლის მსმელი, კრიმინალები, ერთნაირი შემართებით ბიზნესმენებიც იყვნენ და ზონდერებიც. 2007-წელს „იმედის“დარბევის ფაქტზე, გიორგი რურუა მისგან მართულ ზონდერჯგუფთან ერთად სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა... ორი წლის წინ ინტერვიუში „ყოფილი „მხედრიონელი“ თემურ ხაჩიშვილი ყურადღებას ამახვილებს, თუ რა პოლიტიკურ წიაღში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „მხედრიონი“: – „მხედრიონში“ ჩამოყალიბდნენ, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით, პირველ რიგში – გიგა ბოკერია, ასევე ძმები რურუები, მამაშვილი გაბაშვილები და სხვები. სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენდნენ „მხედრიონის“ იმ მანკიერ მხარეს, რასაც საზოგადოება გმობდა. მე არ მსმენია პატიოსანი და, იმავდროულად, ფულიანი არც

14 გვ. →

# ძლიერი რეგიონები



თეთრიწყარო

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● ქ. თეთრიწყაროში, ე.წ. ნამტვრიანის დასახლებაში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა და ხელოვნური საფარი. სამუშაოს მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

● მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება – მერიის დაკვეთით, სოფელ მაწევანამდე მისასვლელ 3,2-კილომეტრიან საავტომობილო გზაზე ორ ფენად ასფალტი იგება. პროექტის მიხედვით ეზოებთან მისასვლელებიც მოასფალტდება.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მალხაზ სამაშვილი.

ხელშეკრულებით პროექტის დასრულება გათვალისწინებულია 2019 წლის 2 იანვარს. მისი ღირებულება 771 724 ლარია.

● მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის შიდასამეურნეო ქსელის მოწესრიგების მიზნით დაგეგმილი საპროექტო სამუშაოების შესახებ, სოფ. ჯორჯიაშვილსა და ასურეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა.

მოსახლეობას ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოში მსოფლიო ბანკის მისია ვილფრიდ ჰანდერტმარკის ხელმძღვანელობით, რეგიონალური ექსპერტი გევორგ მიჩიკიანი, პროექტის წყალმომხმარებელთა განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ქაჯაია და შპს „საქართველოს მელიორაციის" ალგეთი-ტბისი-კუმისის სერვისცენტრის წარმომადგენლები.

2018 წელს „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში, დასრულდა ტბისი-კუმისის საირიგაციო სისტემის ძირითადი/მაგისტრალური სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. პროექტის მეორე ეტაპზე იგეგმება შიდასამეურნეო ქსელის საპროექტო სამუშაო, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის 20 სოფელს. შედეგად, გაიზრდება წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობები, მაქსიმალურად იქნება ათვისებული სასოფლო-სამეურნეო მიწები და უკეთ განვითარდება სოფლად სამეურნეო საქმიანობა.

შიდასამეურნეო ქსელის საპროექტო სამუშაოები 2019 წლიდან დაიწყება და მისი მიმდინარეობის პროცესში აქტიურად ჩაერთვება ადგილობრივი მოსახლეობა.

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● რამდენიმე დღის წინ სტიქიამ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი დააზარალა. ძლიერმა ქარმა ძირითადად დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები და საცხოვრებელი სახლების სახურავები.

ადგილობრივი ხელისუფლება უმალ შეუდგა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, სამხარეო თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად განაწილდნენ სოფლებში ზარალის დასათვლელად და დაზარალებულთათვის ქმედითი დახმარების აღმოსაჩენად.

ჩოხატაურში პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ქუჩები გაიწმინდა ხეებისგან, ელექტროგადამცემი ხაზები აღდგენილია. დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასახური მასალის გადაცემა ინტენსიურად მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი ოთარ არევაძე და გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

### კახეთის რეგიონში

● კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით, კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების განხილვის მიზნით, შემაჯამებელი დასკვნითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მიმდინარე წლის სექტემბრიდან, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რაც, ძირითადად, ითვალისწინებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების შერჩევას.

დასკვნით სამუშაო შეხვედრაზე, კახეთის რეგიონში შემავალმა თითოეულმა მუნიციპალიტეტმა წარადგინა 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც GIZ-ის ექსპერტების დახმარებით მომზადდა.

შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, მხარის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი, მედიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები დაესწრნენ.

### გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ძირკოკში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის პროცესში მოასფალტდა გზის 859 მეტრი, ე.წ. თუშების უბანი, ე.წ. ჭიაპაანთ უბანი და ე.წ. ელიკაანთ უბნის შესასვლელი.

გზების რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა, რისთვისაც 226 000 ლარი დაიხარჯა.

● გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფელ ჭანდარში, ე.წ. უროიანის უბანში. მოასფალტდება 768 გრძივი მეტრი და მოეწყობა სანიაღვრე არხი.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ხორციელდება, რომლის ღირებულებაც 389 538 ლარს შეადგენს.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში მიმდინარე ერთ-ერთი სოციალური პროექტის „მზრუნველი მობილური ჯგუფის" წევრები მარტოხელა ბენეფიციარების დასახმარებლად იმყოფებოდნენ ახალაბასთუმნის, ინგირისა და კახათის ადმინისტრაციულ ერთეულებში. პროექტი ხელს უწყობს მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.

● სოციალური პროგრამის ფარგლებში მერიამ წელს დაიწყო კიდევ ერთი ახალი პროექტი – „სოციალურად დაუცველი ოჯახების კვებით უზრუნველყოფა", რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირების ზამთრის პერიოდში საკვები პროდუქტებით დახმარებას.

413 ოჯახი პროგრამის ფარგლებში მერიისგან ერთჯერადად მიიღებს პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტებს: შაქარს, ფქვილს, ზეთს, კარტოფილს, მაკარონსა და ხახვს.

დახმარების გაცემა 4 დეკემბერს დაიწყო და ის ეტაპობრივად განხორციელდება. ამ დროისთვის პროდუქტები 170-მდე ბენეფიციარს გადაეცა.

### მარნეულის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ხოჯორნში დასრულდა წყალმიმღების მოწყობისა და წყალსადენი მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტი. მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მოეწყო ჰორიზონტალური წყალმიმღები (დრენაჟი) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის მაგისტრალის დაზიანებულ მონაკვეთებს. პროექტის საერთო ღირებულებამ 78 500 ლარი შეადგინა.

ასევე, სოფელ ხოჯორნში მიმდინარეობს ხელოვნურსაფრიანი, კომბინირებული მინისაფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო თანხა 75 639 ლარს შეადგენს.



ჩოხატაური

# ძლიერი საქართველოსთვის


მარტვილი

● საიმერლოში 120 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნენ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო დაწესებულებაში, საბავშვო ჯგუფებთან ერთად შენობაში განთავსდება სპორტული და სახელოვნებო ღონისძიებებისთვის განკუთვნილი დარბაზი, საბავშო ბაღის მიმდებარედ მოეწყობა და მოწესრიგდება გარე ინფრასტრუქტურა, შენობა ადაპტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 587 000 ლარია.

● სოფელ წითელსოფელში ცენტრალური გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების იდეა ამავე სოფლის მკვიდრს არამ აკოფიანს ეკუთვნის, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტი 2018“-ში და მისი იდეა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა სოფელ მარეთშიც, სადაც მოასფალტდა კორპუსებთან მისასვლელი გზა და ეზოები.

პროექტები ადგილობრივმა ბიუჯეტმა 327 870 ლარით დააფინანსა.

### სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს საავტომობილო გზების მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ქალაქად და სოფლად თანმიმდევრულად ხორციელდება გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული დაპირებები.

ქალაქ სენაკში იგეგმება ასფალტბეტონის საფარის დაგება ს. შენგელიას, მარჯანიშვილის, ფურცელაძის, ჯიხას ქუჩებზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

უკვე დამთავრდა სამტრედიის, სტალინის ქუჩის III შესახვევის, შავი ზღვის, ჭალადიდელის, ფალიაშვილის, გაბაშვილის, ალ. არჩაიას, მშვიდობის ქუჩების რეაბილიტაცია, აგრეთვე ალ. არჩაიას ქუჩიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალამდე, დ. აღმაშენებლისა და ლოლუას ქუჩებზე.

● მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა, ამჯერად – კოსტავას, სახოკიას, ჯიხას, თეფანიას, გორის ქუჩებზე და ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში.

სანიაღვრე არხების მოწყობა მუნიციპალიტეტში მომავალშიც გაგრძელდება, რის შედეგადაც არხების მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის საშიშროება მოსახლეობას აღარ ექნება.

● სტიქიის შედეგების მაქსიმალურად მოკლე ვადებში ლიკვიდაციის მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტში დაწყებულია დაზარალებული მოსახლეობისთვის სამშენებლო მასალების გაცემის პროცესი, რომელიც 214 საცხოვრებელი სახლისა და მრავალბინიანი კორპუსის დაზიანებული სახურავების აღსადგენადაა განკუთვნილი.

ქალაქის და ყველა ადმინისტრაციული ერთეულის დაზარალებულ მოსახლეობას გადაეცა შიფერი, თუნუქის, ალუმინისა და ხის მასალა. ამ პროცესში ჩართული არიან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები – მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და შესაბამისი სამსახურის სხვა წარმომადგენლები. სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას გადასახური მასალა ადგილზე მიუტანეს.


სენაკი

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● სტიქიის შედეგების მაქსიმალურად მოკლე ვადებში ლიკვიდაციის მიზნით, აქტიურად გრძელდება დაზარალებული ოჯახების გადასახური მასალით უზრუნველყოფა. დაზარალებულთა ნაწილს სახლის გადასახური მასალა მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ პირადად მიუტანა.

ძლიერის ქარის შედეგად დაზიანდა 94 საცხოვრებელი სახლის, 2 ადმინისტრაციული შენობისა და 1 საბავშვო ბაღის სახურავი.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში სახლის გადასახური მასალა ყველა დაზარალებულ ოჯახს გადაეცემა.

● საბავშვო ბაღებში საჩუქრების გადაცემა გრძელდება. ამჯერად დათო გოგუა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ლესიჭინეს საბავშვო ბაღებს ესტუმრა და მათ სათამაშოები გადასცა. მუნიციპალიტეტის მერი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთად ბაღებში არსებულ საჭიროებებსაც ეცნობა. საჩუქრებს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მიიღებს.

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანთან ერთად, სოფელ ნახიდურში მცხოვრებ 18 წლის შშმ პირს ლეილა ისმაილოვას საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადასცა. ლეილა ისმაილოვამ თავისი სურვილი რამდენიმე თვის წინ სოფლად მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და შშმ ქალებთან შეხვედრაზე გაამჟღავნა. ლეილა იხმაილოვა ფიქრობს, რომ კომპიუტერი საზოგადოებაში ინტეგრირებაში დაეხმარება და უფრო აქტიური გახდება. მის ოჯახს ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოციალური პროგრამის ფარგლებში მუდმივ დახმარებას უწევს.

● წლის ბოლომდე ბოლნისის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდება – სოფელ ქვეშში 18 სმ სისქის ბეტონის გზა 1125 გრძივ მეტრზე დაიგება. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი პროექტს 550 000 ლარით აფინანსებს. მოეწყობა აგრეთვე გვერდულები და სანიაღვრეები.

### ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში

● ფოთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები გრძელდება. დაზიანებული სახურავების აღდგენაზე მუშაობენ სახელმწიფო ობიექტებსა და მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში. პარალელურად, გრძელდება დაზარალებული მოსახლეობისთვის სხვადასხვა სარემონტო მასალის მიწოდება.


ფოთი

მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი საგანგებო რეჟიმში მუშაობს. მიყენებული ზარალის ოდენობა ერთ მილიონ ლარს აღწევს.

აღმასრულებელი ხელისუფლებისა და რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად კოორდინირებულ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას.

დაჩქარებული ტემპით ხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა. ობიექტებზე ბრიგადები ღამის საათებშიც მუშაობენ, რათა ზამთრის პირობებში მოსახლეობას დამატებითი პრობლემები არ შეექმნას.

ფოთის მუნიციპალიტეტში გრძელდება დაზარალებულთა განცხადებების მიღება, ნაწილდება სარემონტო მასალები. მუშაობას აგრძელებს საგანგებო შტაბი.

## ქალბატონი სალომე მთელ საქართველოში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ევროპული პოლიტიკა იცის არა წიგნებიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდან

10 გვ.

მა 90-იან წლებში გამოიყენა — საბჭოთა კავშირის დაშლის მერე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უცხოური კაპიტალი რომ არ შესულიყო, მან, ფაქტობრივად, თავის გარშემო ყველგან კონფლიქტი გააღვივა იმდენად, რომ რუსეთის გარშემო არსებულ ცეცხლოვან რკალს კონფლიქტების ჯაჭვს უწოდებდნენ. ამ კონფლიქტების, არეულობის საშუალებით რუსეთმა, იმ პერიოდში, პოსტსაბჭოტა ქვეყნებში უცხოური კაპიტალის შესვლა დაბლოკა და ეს ქვეყნები თავისი გავლენის ქვეშ დატოვა. ჩვენ, რუსეთის ამ ნაბიჯმა უფრო მიგვაქცია ევროპისკენ და არა პირიქით. მაგრამ თავისთავად ესმომენტი — აურიე ქვეყანა და მერე იმ ქვეყანაში კაპიტალი აღარ შევა, რუსეთის სტრატეგიაა. ვთვლი, რომ რუსეთისთვის ახბა“ ახერხებს იმას, რომ უცხოელ პარტნიორებს თავად აწვდიდეს ინფორმაციას და არა „ქართული ოცნება“. რა ინფორმაციაც მისდით უცხოელებს, იგივეს ამბობენ. მით უმეტეს, ახლანდელი სცენარი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ სცენარს ბევრი ელემენტით ჰგავდა. ერთ-ერთი ელემენტი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების რევოლუციის სამსახურში ჩართვა. ყველას გვახსოვს, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი უმთავრესი მოტორი იყო. მაშინაც, დასავლეთს ინფორმაციას არასამთავრობო ინსტიტუტები აწვდიდნენ. დასავლეთს, დღესაც, არასამთავრობოების ნდობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე პოლიტიკური პარტიების.

დასავლეთისთვის არსებითად მნიშვნელოვანი საქართველო მას მერე გახდა, რაც ბაქო-ჯეიჰანის




ლაც ეს სტრატეგია იყო საჭირო. შორეული აღმოსავლეთიდან ეს ხაზები თუ არ შეწყდებოდა, ნაწილი მაინც მის ტერიტორიაზე რომ გადასულიყო, რუსეთს ამისთვის არეულობა სჭირდებოდა, რისი განხორციელებაც „ნაციონალებმა“ ითავეს.

**— თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით 2018 წლის არჩევნები ყველაზე ცუდად ჩატარებულ არჩევნებად გამოცხადდა.**

— ეს გაუგებარია. ჩვენ, გვახსოვს 2012 წელს თეფშებს როგორ ატუსაღებდნენ, რას უშვებოდნენ საბანკო მანქანას და ა.შ იმასთან შედარებით, ეს არჩევნები, დემოკრატიულობის განსახიერებაა. მეორე მხრივ, „ნაცმოძრაონავთობსადენის იდეა ჩამოყალიბდა. იქამდე, საერთოდ არ ვარსებობდით, საქართველოს მიმართ ინტერესი არ იყო, მერე შევუყვარდი თ. მახსოვს, შვილ ბუშთან ერთ-ერთი ვიზიტის დროს, მან შევარდნაძეს მხარზე ხელი დაუბარტყუნა და უთხრა: მე, მიყვარს ის ქვეყნები, საიდანაც ნავთობის სუნი მცემსო. ეს ნავთობის სუნი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ, გვგონია, რომ დემოკრატიის გამო ხდება ყველაფერი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დასავლელ პარტნიორებს ნავთობის სუნი დემოკრატიაზე უფრო მეტად იზიდავდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24



## მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, სიმართლის გარდა

11 გვ.

„მხედრიონელი“, არც ზვიადისტი პირადად მე – მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თანამდებობზე ვიმუშავე, თუმცა როგორც ხედავთ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა უმწვავესია იმ ფონზე, როცა უღირსი „მხედრიონელები“ ფულის შოვნაზე იყვნენ ორიენტირებულნი და დღეს უზრუნველად ცხოვრობენ. პირველი პოლიტიკური წრთობა მათ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინაღმდეგ ქმედებებში მიიღეს. მაგალითად, ბოკერია სასტიკად არბევდა ზვიადისტებს, მან პირადად დააპატიმრა თბილისში ზვიადისტების მხარდასაჭერად ჩამოსული რუსი დისიდენტი ვალერი ნოვოდვორსკაია... ვაცნობიერებ, რომ მეც მეკისრება ამ დარბევების გამო პასუხისმგებლობა, როგორც „მხედრიონის“ ხელმძღვანელს... “, – აცხადებს თემურ ხაჩიშვილი გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში. დიახ, 90-იან წლებში დამნაშავეთა სამყაროს პოლიტიკაში ჩარევამ პოლიტიკის კრიმინალიზაციას დაუდო დასაბამი. “მხედრიონის” პოლიტიკური ამბიციებით გამოსვლამ ქურდული კონტრკულტურა ორად გაყო – ისინი, ვინც პოლიტიკაში მოვიდა და ისინი, ვინც ქურდული განდგომილობა დაიცვა. 1992 -წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სისხლიანი მოვლენებით. მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ეს ადამიანები „ჩაიხუტა“ გატეხილი სახელითა და ძალიან მძიმე რეპუტაციით „უპატრონა“და მათთან ერთად არანაკლები ბოროტება აკეთა ვიდრე ოთმოცდაათიან წლებში აკეთებდნენ“ბოროტების“ორდენის კავალრები... რობერტ სტურუას გათავისუფლებასთან დაკავშირებით გოგა ხაინდრავა 2011-წელს „ყველაზე წარმატებულ კულტურის მინისტრს“ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ასე ამკობდა- „კულტურის მინისტრი, რომელსაც ადამიანების სისხლში აქვს ხელები გასვრილი და მკვლელები რომ ქვეყნის სათავეში იქნებიან, ბოლოს და ბოლოს მკვლელებს რომ კულტურას ჩააბარებენ, ის კულტურა მოკვდება. მომავლის მოსპობის მცდელობა მიდის, იმიტომ, რომ ამ ნაციონალების იდეა თავიდანვე უისტორიო ახალი ქართველის შექმნა იყო. ჩვენთან, როგორც წესი, ასეთ რამეებს შეთქმულების თეორიის ნაწილს მიაწერენ, მაგრამ ეს არის კონკრეტული გეგმა, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება. უცხოელები ამათ იყენებენ შემსრულებლებად. დავალებები ერთ ჯგუფს ეძლევა მოსკოვიდან, სხვა ჯგუფს ვაშინგტონიდან, არის კიდევ ჯგუფი, რომელიც ვაშინგტონიდანაც, რუსეთიდანაც, თეირანიდანაც, ბეირუთიდანაც, ჯანდაბიდან და ოხრობიდანაც რომ დაავალონ, შეასრულებენ საკუთარი კეთილდღეობისთვის...

მათი ნავსაყუდელი არის სააკაშვილის მმართველობა და ყველანაირად ეცდებიან ეს ნავსაყუდელი არ დაკარგონ. ყველაფერზე ხელს მოაწერენ, რობიკო სტურუას მოხსნის კი არა, დახვრეტის ბრძანებას მოაწერენ ხელს, ერთი წუთით არ დაფიქრდება ამაზე ნიკოლოზ რურუა“.

დაბოლოს, ნიკა რურუა არავის გაუსამართლებია მის მიერ ჩადენილ ცოდვათა გამო. არავის მოუთხოვია მისთვის პასუხი, ამიტომ წავიდა ის ამქვეყნიდან გმირის სახელით, დიდი მელომანის მანტიაში გახვეული. მეტიც, თურმე რურუამ ააყვავა „ქართული კინო“. არადა, თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია „აყვავებული“ „ქართული კინო“ რომ დავინახოთ: კინოთეატრებში გახსნილი სახინკლეები და სასტუმროები, სუპერმარკეტები და სალონები. აი, როგორ ააყვავა ნიკა რურუამ „ქართული კინო“. არაფერს ვიტყვით „ვიდრე მე ვარ, კინოს ვერ გადაიღებ“-ო, იმ რეჟისორებს რომ ეუბნებოდა რურუა, ვინც ნაცხროვის რეჟიმს ქუჩაში, აქციებზე აპროტესტებდა.

„მშვიდობით საქართველოს თავისუფლების არწივო.მშვიდობით რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის დაუმორჩილებელო რაინდო“, – საინტერესოა არა? დიახ, საინტერესოა, ამიტომაა რომ ყოფილმა ცოლმა ნიკა ილიას რანგში აიყვანა. კიდევ კარგი, მთაწმინდაზე ადგილი აღარ არის, თორემ ვიხილავდით ილიას გვერდით მხედრიონელ ნიკა რურუას...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30



# „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა“

სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ბიზნესმენმა და პოეტმა **ავთანდილ ბუთხაშვილმა** 2016 წელს სანკტ-პეტერბურგში ზურაბ წერეთელის შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმა დააფინანსა და ძეგლის დადგმის ურთულეს პროცესებს თავადვე უხელმძღვანელა. ბატონი ავთანდილი შესანიშნავი პოეტია, გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი კრებული ქართულ და რუსულ ენებზე. 2000 წლიდან რუსეთის მწერალთა კავშირის წევრია. არის ნ. ტიხონოვის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ა. გრიბოედოვის და მ. ლერმონტოვის სახელობის მედლების კავალერი.

ვისარგებლეთ ბატონი ავთანდილის სამშობლოში ყოფნით და სახლში ვესტუმრეთ.

**— თქვენ თითქმის 60 წელია, რუსეთში მოღვაწეობთ. მიუხედავად ამისა, თქვენ ლექსებში აშკარად ჩანს ქართული სული, თქვენი მშობლიური კუთხის, ფშავის და, საერთოდ, მთის სიყვარული.**

— დიახ, ფშავური კილო თითქმის დომინირებს ჩემს ლექსებში თუ პოეზიას დავარქმევთ. თუმცა სხვა ბუმბერაზი პოეტების, იგივე ვაჟა-ფშაველას დონეზე არ მაქვს ჩაქსოვილი. თუმცა ჩემი მუზა ჩემი მხარე ფშავია, ხევსურეთი და, საერთოდ, მთა. მიყვარს ჩვენი მთები. თავისთავად, მხოლოდ მთა კი არა, საერთოდ, მთლიანი საქართველო უნდა გვიყვარდეს. იცით, რა, როდესაც ადამიანი სამშობლოსგან მოწყვეტილი ხარ, უფრო მეტად თვალწინ წარმოგიდგება შენი ბავშვობა, შენი კუთხე გახსენდება. ეს ნოსტალგია გალაპარაკებს, გამოძრავებს.

**— ბატონო ავთანდილ, რუსეთის, როგორც უწოდებენ, ჩრდილოეთ დედაქალაქში სანკტ-პეტერბურგში, ქალაქის ცენტრში**



**თქვენი ინიციატივით გენიალური შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგა. გაგიჭირდათ ამის გაკეთება?**

— თავდაპირველად ძეგლის დადგმა ჯერ კიდევ 10–15 წლის წინათ გვქონდა ჩაფიქრებული. თუმცა მაშინ არაფერი გამოგვივიდა.

ძნელია, სიტყვებით გადმოგცეთ, რა კოლოსალური შრომა სჭირდება ძეგლის დადგმას. ყველა მომენტია გასათვალისწინებელი — საქართველო-რუსეთის პოლიტიკური დამოკიდებულება. არავითარი მონაწილეობა რუსთაველის ძეგლის დადგმაში არც ერთ ქართულ ორგანიზაციას, მათ შორის, სამთავრობოს, არ მიუღია. როდესაც ზურაბ წერეთელს მივმართე თხოვნით, დაგვხმარებოდა, ჩვენს წარმოადგენელს ჰკითხა, იქ, ანუ საქართველოში, რას იტყვიანო. მე ვუთხარი, რომ ყველაფერი შეთანხმებული იყო ხელისუფლებასთან. ისე გამოვიდა, რომ, ასე ვთქვათ, ჩემმა პატარა ცელქობამ გაჭრა. მხოლოდ ფინანსური პრობლემები კი არ გვაწუხებდა, ფსიქოლოგიურადაც გადავიღალეთ. უამრავი კომისიის სხდომა გავიარეთ. თავისთავად, ყველას როდი უხაროდა ჩვენი წამოწყება, მაგრამ მათთანაც ვპოულობდი საშუალებას, გამომენახა საერთო ენა და ასე ვითანხმებდი მოწინააღმდეგეებს.

**— ჩინოვნიკები გასაგებია, მაგრამ იქაური მოსახლეობა, საზოგადოება როგორ შეხვდა შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნას?**

— საზოგადოებამ კარგად მიიღო, განსაკუთრებით იმ თაობამ, რომელიც იცნობს საქართველოს. ვისთანაც მქონდა საუბარი, ყველა კმაყოფილებას გამოხატავდა, განსაკუთრებით მადლიერები, თავისთავად, ქართველები იყვნენ.

**— როგორც ვიცით, ყოველთვის გვერდში, პირველ რიგში, თქვენი მეუღლე, ქალბატონი ლალი ხორნაული გედგათ და გიდგათ...**

— კი, შეიძლება ვთქვათ, ერთად ვიბრძოდით, როგორც ქართველ ქალს შეეფერება, მართლაც მიწევდა და მიწევს უღელს.

**— ძეგლის დადგმის გარდა თქვენ შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო საღამო გამართეთ პეტერბურგში 2016 წელს, რომელიც უმაღლეს დონეზე ჩატარდა.**

— რა თქმა უნდა, ის წელი ხომ იუნესკოს მიერ შოთა რუსთაველის წლად იყო გამოცხადებული. სამწუხაროდ, იუნესკოსთან არანაირი კავშირი არ მაქვს. არ ვიცი, თუ აცნობეს ორგანიზაციას თუნდაც საქართველოდან, პეტერბურგში რუსთაველის ძეგლის გახსნა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მე გახლავართ რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგში. ჩვენ ხშირად ვატარებთ რუსთაველის საღამოებს, რაც თავისთავად, ქართული კულტურის წარმოჩენას უწყობს ხელს.

საიუბილეოდ ორჯერ გამოვეცი „ვეფხისტყაოსანი“, ერთი პროზაულად, მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. გამოცემები დავურიგეთ ბიბლიოთეკებს, პედაგოგებს საჩუქრად. მოსკოვიდანაც კი გამომიგზავნეს მოთხოვნა წიგნებზე.

**— ბატონო ავთო, ერთ-ერთმა რუსულ-ამერიკული გამოცემის ჟურნალისტმა თავის წერილში დაწერა: „...განსხვავებული ბიზნესმენია, მისთვის მთავარი არა საბანკო ანგარიშები და ფულია, არამედ სინდისი, ქველმოქმედება“. როგორ უთავსებთ ყოველივე ამას?**

— სიკეთე და ქველმოქმედება პირდაპირ დამოკიდებულებაშია პოეზიასთან. პოეზია და ხელოვნება მარადიული ღირებულებებია, რასაც მთელი არსებით უნდა ემსახურო, თუ გინდა ადამიანად დარჩე.

**გია ბურდული**
551 71 07 27



ავთანდილ ბუთხაშვილი

### ალიარება

ერთი წვეთი ვარ შხეფისა
მგოსანთა ჰანგის ულევის,
ცრემლი ფრინველთა მეფისა
უფსკრულში ნაშურდულევის.

ორთქლი ჩანჩქერთა ჩქეფისა,
ქარაფზე დაკიდულების,
კვალი ვაჟაის ტერფისა,
მარცვალი იმის ხნულების.

ბორგვნა მოყმის და ვეფხვისა,
მწუხრის ჟამს დაჭიდულების,
ნამი და ოფლი მთებისა,
ზეცამდე აზიდულების.

ქროლვა ქარიშლის ფრთებისა,
ჩუმი ჩურჩული ბუნების,
წყაროთა ტკბილი ფერხისა,
არაგვზე აკინძულების.

ვარ ნატამალი კვნესისა
სამასი გმირის გულების,
მდურვა საწუთროს წესისა,
ტკივილი იმათ წყლულების.

მლოცავი ჩემი ერისა,
ტრფიალის დაუსრულებლის,
მხნე ბგერა გულთა ძგერისა,
კვანძი ფშაური თქმულების...

### გაზაფხულის საჩუქარი

გასაოცარ ფუსფუსს ვუსმენ,
თითქოს ვიღაც იებს სთესავს.
ფანჯარასთან მივილურსმნე,
ნაზი სუნთქვაც შემომესმა.

ვუთვალთვალე გაკვირვებით:
ვინ მოსულა უთენია,
და სიმღერა იის ხმებით
ჩემთან შემოუფრენია.

ვის მოუნდა ჩემი ნახვა,
მორცხვობს და ვერ იმამაცა?
რა სითბოა ანდა რა ხმა,
ვინ არის, რომ ხელი მტაცა?

მარტმა სტუმრად მოაცილა?
და ღიმილიც არ ჩაუქრა.
სიყვარულით სავსე დილა
გაზაფხულმა მისაჩუქრა.

### როგორც ერს უნდა

ვგონებ არ მკიცხავს არავინ,
როს ველტვი დიად იდეალს.
ზნე ზრუნვით, ძმათა მფარავი,
ებრძვის, ვინც ქვეყნად ფლიდია.

თბილ თილისმაში თაფლია,
ალერსს ასხივებს გონება.
თუ ხმას ჩანგისად ჩასთვლიან,
გულს სალტე მოეფონება.

ხმით გამოვიხსნი დღემუდამ,
მყოფთ მორიელთა მონებად.
ვიღვაწებ, როგორც ერს უნდა,
როგორც ერს მოეწონება.

### 300 წვეთი არაგვის

ახალნალება რაშებით
ლოდებზე ჰკვეთდნენ ჩუქურთმებს.
შედგნენ კოპალას კარებთან,
ერთურთს მაჯები უკურთხეს.

მერე მოზიდეს ლაგმები
ალღოთი ნაშურდულევით,
კრწანისისაკენ გაჰქუსლეს
მტერზე აღრენილ გულებით.

მხნეობით გასაოცებით,
ჯანმოკრეფილებს სრულებით,
გზას უნათებდნენ ლოცვები,
ხევისბრის ნაჩურჩულები.

ჩამონაქროლნი ქარ-ცეცხლად
მტერს ეცნენ ელვა-ჭექითა,
ნაზარდ-ნაწრთობნი, ნალოცნი
მთიულ-ფშავ-ხევსურთ წესითა.

ბევრი იმსხვერპლეს მომხვდური
მოსულთ საგოგოთუროდან.
ხმალგადამტვრეულთ მტარვალებს
მჯიღებიც სცემეს უროდა!

მტერს შეეხოცნენ კრწანისთან
ყველა უსაყვედუროდა.
სამასი წვეთი არაგვის
სამას სამარეს სწყუროდა...

# რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას აზერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“**

ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.





# წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.




კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84

# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 551 50 89 07


# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* *

**– წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?**

– ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გავრცელებული საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ყველას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. აღნიშნულს დაგიკონკრეტებთ შესაბამისი სამართლერბრივი ნორმით:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**– თუ შეიძლება, ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოგვაწოდეთ ინფორმაცია.**

– თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავით, რომლის შინაარსსაც სრულად წარმოგიდგენთ.

მუხლი 524. ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობი თ.

მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება

1. მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

2. უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული

საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

მუხლი 526. ჩუქების დაუშვებლობა

პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მუხლი 527. გაჩუქებული ქონების ნაკლი

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

მუხლი 528. შეწირულობა

1. მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა).

2. პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული.

3. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მუხლი 530. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

1. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

2. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში

გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.


**ახალგაზრდა ქალბატონი დაგილაგებთ ბინებს, ოფისებს, აგარაკებს, ფართებს ახალაშენებულ კორპუსებში, შესარულებს სხვადასხვა დამხმარე სამუშაოებს.**

ტელ.: 558 737125. 558 45 5387 ანა



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001